მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N35 (9322) 20 დეკემბერი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

სოფლის მეურნეობის მინისტრი ანზორ მსხილაძის მეურნეობას სტუმრობდა

2

"ქართული ჩაი" სამტრედიაში

3

"სამტრედიამ" პლეიოფში უმაღლესლიგელი "სიონი" დაამარცხა

9

პოლიში ლიყვა! ვმკერავობდა გვიბრძოლია ოლიმპი



"ნიგნი თეთრმას შეიცვლის და გვეჭნება ანა ქალაქის, ანაშვილ, ელექტრონული ნიგნები"

8

6

...და ის, ვინც მერხებთან არწივად გვაქცევდა

"ეკო-შეგრძნებების" გაჩენამდე ასეთი ვიქნება

7

სოფლის მეურნეობის მინისტრი ანზორ მსხილაძის მეურნეობას სტუმრობდა

ნინო ნანიტაშვილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძემ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში, სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარის, ანზორ მსხილაძის მეურნეობა დაათვალიერეს.

ანზორ მსხილაძემ პროექტის, "დანერგე მომავალი", ფარგლებში, 7 ჰექტარზე კაკლის და 5 ჰექტარზე ბლის ბაღი გააშენა, რისთვისაც სახელმწიფოსგან 63 000 ლარი მიიღო. ფერმერმა აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტითაც ისარგებლა, გრანტის სახით 37 700 ლარი მიიღო და კუთვნილ 7 ჰექტარზე გაშენებული ხურმის ბაღისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეიძინა. იგი შეღავათიანი აგროკრედიტის ბენეფიციარიც გახლდათ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მან 192 000 ლარის ოდენობის თანხა მიიღო, რითაც საკუთრებაში არსებული მრავალწლოვანი ბაღები განაახლა და 30 სული პირუტყვიც შეიძინა. ფერმერს მეურნეობაში 10 ადგილობრივი ჰყავს დასაქმებული და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას შიდა ბაზარზე ახდენს.

იმერეთის რეგიონში, სახელმწიფო პროგრამის "დანერგე მომავალი" ფარგლებში, 470 ჰა მიწის ფართობზე მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები გაშენდა, ხოლო გაცემულმა თანადაფინანსებამ 3 230 00 ლარი შეადგინა. აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამაში კი 52 მეწარმე ჩაერთო და სახელმწიფო თანადაფინანსებამ 592 000 ლარი შეადგინა.

საკრებულომ თავმჯდომარის ანგარიში მოისმინა

ლევან გაბეჩავა

13 დეკემბერს მორიგი სხდომა გამართა მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. განსახილველ საკითხთა უმეტესობა მუნიციპალიტეტში მოქმედ შპს-აიპი-ებ-ის ბიუჯეტში ცვლილებებს შეეხებოდა.

ბატონები შალვა არზუმანიანი, მერაბ უღრელიძე და ქალბატონი მანანა სირბილაძე გახლდათ მომხსენებლები დღის წესრიგში არსებულ საკითხთა ირგვლივ.

14 დეკემბერს, ანუ სხდომის მეორე დღეს, დედაქალაქში ევროპული დღეების დამაგვირგვინებელი ღონისძიება იმართებოდა.

არის შემთხვევები, გვაქვს ინფორმაცია, რომ რიგ აიპი-ებსა და შპს-ებში თანამშრომლებს ემუქრებიანო, აღნიშნა ბატონმა, ემზარ შუბლაძემ, ამ განცხადებას საკრებულოში ვნებათაღელვა მოჰყვა, ხუთ წუთზე მეტხანს გაგრძელდა ტრადიციადქცეული ურთიერთბრალდებები პოზიციაოპოზიციას შორის.

ვიქნებით მიუკერძოებლები, ჩვენს ყურამდეც მოაღწია მუქარის რა მოგახსენოთ, მაგრამ მოსალოდნელი უსიამოვნების მოსალოდნელობამ იმ შემთხვევაში, თუ თბილისში არ გაეგზავრებოდა რომელიმე ორგანიზაციის რომელიმე თანამშრომელი. დავალება იყო ყოველივე თუ კონკრეტული დირექტორის "შემოქმედება" სხვა საქმეა. სხვათაშორის, ევროპული სტრუქტურები აღიარებენ და უჭერენ მხარს სწორედ ადამიანთა ნებასურვილის თავისუფალ გამოხატვას...

ვნებათაღელვის პარალელურად საკრებულოზე ტაშიც გაისმა, მას შემდეგ, რაც ვეტერანმა ფეხბურთელმა, საკრებულოს უმრავლესობის ლიდერმა, ბატონმა ტარიელ დვალიშვილმა შეკრებილთ სამტრედიის ფეხბურთელთა გუნდის წარმატება მიულოცა და მადლობა გადაუხადა საზოგადოებას ერთსულოვნებისა და თანადგომისათვის. ტაშითვე შეხვდა საკრებულო საცხენოსნო კლუბის დირექტორის ბატონ პავლე კაპანაძის განცხადებას, სამტრედიელი მხედრების მორიგი წარმატების შესახებ.

13 დეკემბრის საკრებულოს სხდომამ ჩვენი ყურადღება იმითაც მიიპყრო, რომ გაწეული მუშაობის შესახებ, ბატონი ნუგზარ ჯამბურია _ საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშით წარსდგა კოლეგების, საკრებულოს წევრთა წინაშე.

საკრებულოს, ცალკეულ კომისიათა და ფრაქციათა სხდომების სტატისტიკა, შეხვედრები მოსახლეობასთან, ამომრჩევლებთან, ღონისძიებები სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის რომ განხორციელდა, შეხვედრები მუნიციპალიტეტის სტუმრებთან, ნიჭიერი ახალგაზრდების, სპორტსმენების დაჯილდოვება, გენდერული კუთხით ჩატარებული სამუშაოები, გადაწყვეტილებები ღირსეულ ადამიანთა სახელების მინიჭების თაობაზე. 2008 წლის მოვლენებისას დაღუპულ სამტრედიელთა პატივგების ღონისძიებები... ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავება, ერთი სიტყვით, თავმჯდომარის ანგარიშში ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარე წელს განხორციელდა ხელისუფლების, საკრებულოს წევრთა და რაღა თქმა უნდა, მისი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მონაწილეობით. ბატონი ნუგზარის წინადადებით წუთიერი დუმილითაც მიაგეს პატივი საკრებულოს წევრებმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას დაღუპულთა ხსოვნას.

თავმჯდომარის ანგარიშში ნიგორზღვის საჯარო სკოლის მოსწავლე მათე ტონია იმდენად მოხვდა, რომ პატარა მათე კლასში ერთადერთი მოსწავლეა, საერთოდ ნიგორზღვის სკოლის პედაგოგების, დირექტორის ბატონ გრიგოლ კიკვაძის მისამართითაც გააჟღერა თავმჯდომარემ სამადლობელი, რომელსაც უფროსი ვაჟიშვილი მისსავე სკოლაში ჰყავს და ასე აძლიერებს სკოლას. (ბატონი გრიგოლის ოჯახი სამტრედიაში ცხოვრობს) ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ არც ერთ სოფელში, არცერთი სკოლა რომ არ დაიხუროსო, _ დასძინა თავმჯდომარემ.

აუცილებელია აღინიშნოს ერთიც, საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშში არ შეიმჩნეოდა საკუთარი პიროვნების განდიდება, პირიქით, ლამის ყოველი წინადადების შემდეგ იმეორებდა, რომ ყველაფერი საკრებულოს წევრთა მონაწილეობითა და თანადგომით კეთდებოდა. საკრებულოს თავმჯდომარემ გაწეული საქმიანობისათვის საკრებულოს აპარატის სრულ შემადგენლობას გადაუხადა მადლობა, რაც ჩვენის მხრივ კარგ ტონად იქნა აღქმული.

ანგარიშის მოსმენამდე მოვლენები ასე განვითარდა:

თქვენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვიდრე მუნიციპალიტეტის მერი არ ჩააბარებს ანგარიშს საკრებულოს, მანამ საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშს არ მოვისმენთო, _ განაცხადა ბატონმა ემზარ შუბლაძემ და "ნაციონალური მოძრაობის" დეპუტაციასთან ერთად სხდომათა დარბაზი დატოვა.

დღეს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრი სტუმრობს მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ვალერი ამიტომ ვერ გვესწრებაო, გასცა პასუხი ბატონ ემზარს ბატონმა ნუგზარმა. (იმ დღეს, იმ წუთში მინისტრი ნამდვილად იმყოფებოდა სამტრედიაში) საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშს კი ვიცე მერი, ბატონი დავით ბახტაძე ესწრებოდა.

...

მაშ ასე, საკრებულოს წინაშე თავმჯდომარე ანგარიშით წარსდგა, საკრებულოს წევრის, ბატონ გიორგი ლეჟავას წინადადებით, საკრებულომ დამაკმაყოფილებლად შეაფასა თავმჯდომარის საქმიანობა.

სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა 13 დეკემბერს საკრებულოს სხდომა, რომელმაც განხილულ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

ბოლიში ლუკა!

ამჯერადაც გადაბრუნდა ურემი

დიახ, გადაბრუნდა ურემი, თუმცა გზა ჯერჯერობით არა სჩანს. აქაც რიტორიკული და ტრადიციული კითხვა, ვინ არის დამნაშავე?

საქმე 15 წლის მოზარდის, ლუკა სირაძის სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ეხება.

მართალია, ვემიჯნებით ყველაფრის, ავის თუ კარგის, პოზიტივის თუ ნეგატივის პოლიტიკურ ჭრილში განხილვას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას "უკეთესს" რას უნდა ველოდოთ, როცა წელიწადში რამდენჯერმე შეიცვლება პრემიერი, განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები?

მწუხარებით ვუერთებთ ხმას ლუკა სირაძის ოჯახის, ახლობლების, სრულიად საქართველოს დიდ მწუხარებას და ვისურვებდით მსგავსი შემზარავი ფაქტის შესახებ არაფერი გვსმენოდეს ამიერიდან, არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ.

როგორც პრემიერ მინისტრმა, ბატონმა გიორგი გახარიამ განაცხადა, შესაბამისმა უწყებებმა დროულად და საფუძვლიანად უნდა გამოიძიონ ყოველივე.

და მაინც, როგორც ათასჯერ ითქვა ლუკას წინაშე ყველანი დამნაშავენი ვართ.

ლევან გაბეჩავა

პორნოსკანდალი _ სამტრედიელი ფოტოგრაფები ბოდიშის საჯაროდ მოხდას ითხოვენ

საქართველოს მხარისთვის ევროპოლის მიერ გადმოცემულ წერილში სამტრედიელი ფოტოგრაფები, პაატა ცერცვაძე და დავით ერისთავი დასახელებულები არიან, როგორც პორნოსკანდალში მონაწილე პირები. აღნიშნული ინფორმაცია 9 დეკემბერს "რუსთავი-2-ის" 9 საათიან მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გაჟღერდა.

სამტრედიელი ფოტოგრაფები კატეგორიულად უარყოფენ ბავშვთა პორნოგრაფიაში რაიმე სახით მონაწილეობას.

ერთადერთს, რასაც ადასტურებენ, დაკავებულები არიან ფოტოგრაფიით, აწყობენ ფოტოსესიებს, რომლებშიც არასრულწლოვანებიც მონაწილეობენ. პაატა ცერცვაძე და დავით ერისთავი უსაფუძვლო ბრალდებაზე "რუსთავი-2-სგან" საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვენ.

"სამტრედიის მაცნესთან" ისინი იმ მატერიალურ და მორალურ ზიანზე საუბრობენ, რაც მათმა სტუდიებმა, "დიადემამ" და "ბლექსტარ" სტუდიომ მიიღეს.

ფოტოგრაფების თქმით, "რუსთავი-2-ის" სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ მათ დაჯავშნილი ფოტოსესიები გაუუქმდათ.

ნინო ნანიტაშვილი

"ქართული ჩაი" სამტრედიაში

სამტრედიაში პროგრამა "ქართული ჩაის" მონაწილე 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ჩაის მანქანა-დანადგარები გადაეცა. კოოპერატივებისთვის ტექნიკის გადაცემის პროცესს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, იმერეთის რეგიონის რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. აღნიშნულმა კოოპერატივებმა სახელმწიფოს დაფინანსებით ისარგებლეს და საკუთრებაში არსებული 140 ჰა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად სახელმწიფოსგან თანადაფინანსების სახით 287 000 ლარი მიიღეს. პროგრამა "ქართული ჩაის" ფარგლებში, ჯამში ტექნიკის შესაძენად 314 000 ლარი დაიხარჯა, რომელიც კოოპერატივებს საჩუქრად გადაეცათ.

საქართველოს მასშტაბით პროგრამაში ინვესტიცია 2 551 642 ლარია, საიდანაც 1 774 488 ლარი სახელმწიფო თანადაფინანსებაა. პროგრამა "ქართული ჩაი" 2016 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა.

ნინო ნანიტაშვილი

გვიყვარხართ პატრიარქო!

25 დეკემბერი აღსაყდრების დღეა სრულიად საქართველოს პატრიარქისა

25 დეკემბერს 42 წლის წინ მოხდა აღსაყდრება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა. უზომოდ რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე გახლდათ ეს წლები. შეუძლებელია ერთ წერილში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღსრულებულ, საშვილიშვილო საქმეთა ჩამოთვლა. სწორედ მის უწმინდესობას არგუნა წილად უფალმა კომუნისტური 7 ათეულწლიანი უღმერთობიდან ერის ეკლესიისაკენ შემობრუნების მისია, რომელიც არ ყოფილა ადვილი, პირიქით.

მიუხედავად ბოლო დროის აგორებული ხმებისა, ეკლესია და მისი მწყემსმთავარი საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად სანდო და საყოველთაოდ აღიარებულია, არ ჭირდება ამას არანაირი კვლევა, სხვაგვარად შეუძლებელიცაა.

“ჩვენი რწმენა ჩვენს ქცევაში, აზროვნებაში და ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდება, ჩვენი საქმენი სახეა ჩვენი სულისა: ვცხოვრობთ ისე, როგორც გვწამს.

რწმენა, აი უპირველესად აუცილებელი პირობა ჩვენი გამართლებისა და ხსნისა, რამეთუ, თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნოყოფაი ღვთის წინაშე”.

სიყვარულითა საუკუნოითა შეგიყუარე შენ (იერემია 31.3) _ ეუბნება ღმერთი მის მიერ შექმნილ ადამიანს” უერთიერთსიყვარულისაკენ, რწმენაში განმტკიცებისაკენ მოგვიწოდებს პატრიარქი საქართველოსი.

“ყველაზე დიდი ცოდვა არის ამპარტავნობა, სიამაყე. ნუ იამაყებთ ნურც თქვენი ნიჭით, ნურც სილამაზით, ნურც გონიერებითა და ცოდნით, ნურც ფიზიკური ძალით. გახსოვდეთ, ეს ყველაფერი ღვთისგან გაქვთ ბოძებული, რათა იგი სიკეთისთვის გამოიყენოთ და უფალსვე ხელეწიფება მისი წართმევა”. _ გვასწავლის პატრიარქი საქართველოსი.

“დედისა ნინოს ემბაზსა ნათელღებულო საქართველოვ, სამშობლოვ ჩემო! მრავალტანჯულო, მარად მხნეო, მარად ძლიერო! სიტკბო, სიუხვე არ დაგლეოდეს, შენს კანდელს ზეთი არასოდეს დაკლებოდეს, არასოდეს დაგღამებოდეს, მზე დაგმნათობდეს, სულ გათბობდეს... და შენ ვენახო ჭეშმარიტო, დედაო ღვთისავ! შენ დაიფარე შენი წილხვედრი საქართველო უკუნისამდე! ამინ!”

ლოცვას აღავლენს პატრიარქი საქართველოსი.

მრავალჟამიერ თქვენი მწყემსმთავრობა, გვიყვარხართ, პატრიარქო!

ლევან გაბეჩავა

დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველო 2020 წლის მიჯნაზე

ნინო ნანიტაშვილი

2019 წლის 1 სექტემბერს 75 წლის გახდა. ოჯახის წევრებთან და კოლეგებთან ერთად ეს დღე ლამაზად აღნიშნა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ყაზბეგში. წარმოებიდან ექსკურსიაზე მყოფებმა, დასავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგების სამმართველოს ერთ მუშტად შეკრულმა კოლექტივმა, საქართველოს რკინიგზაზე მომუშავე ასევე ერთ-ერთ უხუცეს რკინიგზელს საიუბილეო თარიღი შინაარსიანად აღუნიშნა. იყო ბევრი მილოცვა, მომავალში ურთიერთანამშრომლობის სურვილი.

მანამდე კი იყო ინფრასტრუქტურის ფილიალის ელექტრომომარაგების დეპარტამენტიდან “2016 წლის საუკეთესო მენეჯერის” სიგელი, რომელიც ზურაბ გოგოხიას საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის დირექტორმა ვასილ ხორავამ გადასცა.

წარმოების ხელმძღვანელობის 46 წლის სტაჟის მქონე პიროვნება წარმატებულ საქმიანობას დღემდე აგრძელებს. აქედან ბოლო 15 წელი დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს უფროსობაა, სადაც, როგორც გამოთქმა არსებობს, თვალში რომ ჩაუვარდეთ, თანამშრომლები თითს არ ამოისვამენ. რატომ? იმიტომ, რომ ზურაბ გოგოხია იმასთან ერთად რომ არის კვალიფიციური მენეჯერი, გახლავთ ადამიანი, რომელმაც იცის კარგი სპეციალისტის, ერთგული თანამშრომლის ფასი. ცდილობს, მათ სამსახურეობრივ საქმიანობას ოჯახური პირობები შეუხამოს. მათ გვერდითაა ჭირსა და ლხინში.

ყოველი წლის ბოლოს, ზურაბ გოგოხია ორგანიზაციის სამუშაო, შემაჯამებელ ანგარიშს აკეთებს მთავარ ინჟინერთან, მამუკა ერქვანიძესთან, მოადგილეებთან მალხაზ გოგიშვილთან და ზვიად ჯინჭარაძესთან ერთად. ძირითადად კმაყოფილია. აქვს ცოტაოდენი შენიშვნები, რომლის გამოსწორებასაც მომავალი წლისთვის აპირებს.

“სამტრედიის მაცნემ” უხუცეს რკინიგზელთან ერთად თვალი გადავლო ბოლო სამი წლის მოღვაწეობას და გადაწყვიტა, იგი ფართო მკითხველამდე მიეტანა:

დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები ასე გამოიყურება:

გასული სამი წლის განმავლობაში სამმართველოში ჩატარდა ძალიან შრომატევადი და საჭიროებაზე ორიენტირებული სამუშაოები, კოლექტივის ყველა წევრი ამ მხრივ იყო ერთსულოვანი და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით აღჭურვილი. მთავარი მიზანი, რომელიც აერთიანებდა ყველა მუშაკს იყო ის, რომ არ შეფერხებულიყო მატარებელთა მოძრაობა და ყოფილიყო უსაფრთხო დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ყველა მოძრაობასთან დაკავშირებული მოქმედი პირი თავდაუზოგავად და უანგაროდ ემსახურებოდა საქართველოს რკინიგზას. გთავაზობთ იმ სამუშაოების ჩამონათვალს, რომელიც შესრულდა ბოლო სამი წლის განმავლობაში.

2019 წელს ტყიბულის წევის ქვესადგური კაპიტალურად შეკეთდა;

2018 წელს კაპიტალურად შეკეთდა ინგირის საკონტაქტო ქსელის რაიონის შენობა;

2018 წელს ხრესილის წევის ქვესადგურში მთლიანად შეიცვალა 3,3 კვ-იანი საფიდერო ავტომატები და კარადები;

2019 წელს ნატანებში და ბათუმის წევის ქვესადგურში შეიცვალა 3,3 კვ-იანი საფიდერო ავტომატები თავისი კარადებით;

2019 წელს ყველა წევის ქვესადგურში დამონტაჟდა ახალი ტიპის სააკუმულატორო ბატარეიები თავისი დამმუხტველი მოწყობილობებით;

2017 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რკინიგზის სადგურს, ბათუმის ცენტრალს, სადგურ ჩაქვს, სადგურ ურეკს;

2018 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სადგურ ნატანებს, სადგურ ქობულეთს, სადგურ სუფსას, სადგურ საჯავახოს;

2019 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სადგურ ოჩხამურს, სადგურ ჯუმათს, სადგურ ლანჩხუთს. ამჟამად მიმდინარეობს სადგურ ბროწეულას რეკონსტრუქცია;

2017 წელს კაპიტალურად გარემონტდა 10 კილოვოლტი გრძივი ხაზი სენაკი-აბაშის 20 კილომეტრიან მონაკვეთში;

2018 წელს ასევე აშენდა სამტრედია-საჯავახო, საჯავახო-ჯაპანას 18 კილომეტრიანი მონაკვეთი;

2017 წელს აშენდა ავტობლოკირება ბროწეულა-მუხიანის 9 კილომეტრიანი მონაკვეთი.

2018 წელს აშენდა ავტობლოკირება აჯამეთი-რიონის 9 კილომეტრიანი მონაკვეთი;

2019 წელს აშენდა ავტობლოკირება ბროწეულა-რიონის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი;

2016-2017 წელს აშენდა ავტობლოკირება ზესტაფონი-სვირის, სვირი-აჯამეთის 30 კილომეტრიანი მონაკვეთი;

მოდერნიზაცია ჩაუტარდა საკონტაქტო ქსელს სამტრედია-II-კოპიტნარის, საჯავახო-ჯაპანას, ჯაპანა-ნიგოეთის, ლანჩხუთი-ჯუმათის და ჯუმათი-სუფსის გადასარბენებს;

2018-2019 წელს საკონტაქტო ქსელის საავარიო ტექნიკას შეეცვალა ძრავები ზესტაფონის, რიონის, ლანჩხუთის, სენაკის რაიონებში, “ასევე აღმოსავლეთის ელ.მომარაგების სამმართველოდან გადმოგვეცა დმს-575, რომელიც საკუთარი ძალებით იქნა აღდგენილი, ამჟამად მუშაობს და ემსახურება რიონის ცენტრს;

2019 წელს სამმართველოს მიერ მთლიანად შეიცვალა და გაახლდა სადგურების საპროექტორო განათებები და ბაქნის განათებები ლედ სანათებით.” _ გვიამბობს დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს უფროსი ზურაბ გოგოხია და იქვე დასძენს: “მიხარია, რომ 2019 წლის ბოლოს ბევრი ძალიან კარგი რამ გვახსენდება, ვიდრე ნაკლოვანი მხარეები. წლიური შედეგების განხილვაზე საქართველოს რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობის მხრიდან შექება და მადლობა დავიმსახურეთ. ეს არის ჩვენთვის უდიდესი ჯილდო. მადლობა ნიშნავს იმას, რომ მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი მხრიდან ვერ დავუკარგავთ ამაგს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, პირადად, დეპარტამენტის უფროსს, ნუგზარ კეკელიას და მის კოლექტივს.

ახალ, 2020 წლამდე რამდენიმე დღე გვაშორებს. არ შემიძლია, არ ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა არ გადავუხადო ჩემს მრავალრიცხოვან კოლექტივს. ჩვენთან 356 ადამიანია დასაქმებული. ეს პატარა ციფრი არ გეგონოთ, 356 გადასახადის გადამხდელი. მათი ოჯახური ბიუჯეტის აყვავებამდე ბევრი გვაკლია, მაგრამ ეს ადამიანები თავს ღირსეულად გრძნობენ, რადგან აკეთებენ საყვარელ საქმეს, რაც უფასდებათ კიდეც. თითოეულ მათგანს მივულოცავ დამდეგ ახალ წელს და მათთან ერთად ვისურვებდი გამთლიანებულ, ეკონომიკურად აყვავებულ ქვეყანაში ცხოვრებას”.

ვალერიანე ფოცხვერია: ყოჩაღად იყავით, კიდევ გინახულებთ!

ასე დაემშვიდობა მუნიციპალიტეტის მერი დეკემბრის ერთ ჩვეულებრივ დღეს სათნოების სახლის ბინადართ. დამშვიდობებამდე იყო შეხვედრა, საოცრად თბილი და უშუალო.

წითელი ჯვრის სამტრედიის ორგანიზაციის მესვეურები ხშირად ანებივრებენ "სათნოების სახლის" ბინადართ არა მარტო ყურადღებით, არამედ სხვადასხვა საჩუქრებითა და ნუგბარით. ამჯერადაც სასურსათო ამანათი მიუტანეს სათნოების სახლის სათნო ბინადართ. მათთან ერთად იყვნენ მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და ვიცე მერი დავით ბახტაძე.

ყველა ოთხში შევიდნენ სტუმრები, საოცრად თბილი იყო სტუმარ-მასპინძელთა შეხვედრა, თუმცა, რაღა სტუმრობა, როცა ყველანი კარგად იცნობენ ერთმანეთს და ყოველი შეხვედრისას სიხარულიც ამითაა გამოწვეული. 22 ბინადარია ამჟამად სათნოების სახლში, აქ ყველა პირობაა საიმისოდ, რომ წლებით მხრებდამძიმებულმა იმ ადამიანებმა, რომელნიც აქ ცხოვრობენ ოჯახური, მეუდრო გარემო იგრძნონ.

მუნიციპალიტეტის თავკაცებსა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის მესვეურთ, უღრმესი მადლობა უძღვნა "სათნოების სახლის" ხელმძღვანელმა მამა შიომ (ჭაფოძე).

სადილისათვის ემზადებოდნენ "სათნოების სახლის" ბინადრები მომავალ შეხვედრამდე რომ დავემშვიდობეთ.

ლევან გაბაჩავა

ნასვლად 3 დეკემბრისა

სტუმარი და მომკითხავი არასდროს აკლდა ინკლუზიურ დღის ცენტრ "ლამპარს". ღიმილითა და კეთილი გულით მისულებს, ღიმილსა და კეთილ გულს ახვედრებენ და მუდამდღე ელიან ისინი, ვინც საზოგადოებისგან მხოლოდ გულწრფელობას ითხოვენ.

თურმე იკითხეს კიდეც, რატომ არ მოვიდნენ "წითელი ჯვრიდანო". 3 დეკემბერს, ანუ შშმ პირთა საერთაშორისო დღეს განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავდათ და თვალში დააკლდათ ორგანიზაცია, მუდამ რომ ანებივრებს აქაურ აღსაზრდელებს. და აი, ამჯერად საჩუქრებით ხელდამშვენებული, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ისევ "ლამპარს" სტუმრობს წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალი. აქ შინაურ სტუმრებად თვლიან მის წარმომადგენლებს და ყოველთვის უხარიათ მათი გამოჩენა. ამჯერადაც ასე იყო, შპს "ჯორჯიან ალიანსის" დახმარებით შეძენილმა საჩუქრებმა, ტკბილეულით რომ იყო სავსე, წინასაახალწლოდ ძალიან გაახარა დღის ცენტრის აღსაზრდელები. "3 დეკემბერს საპატიო მიზეზი გვქონდა აქაურობას რომ ვერ ვესტუმრეთ. თუმცა, აქაური ბენეფიციარები წუთითაც არ დაგვვიწყნია და ახლა მათ გასახარებლად ვართ მოსულები. მადლობა "ჯორჯიან ალიანსს" და ადგილობრივ მერიას, რამეთუ მათი წვლილი დიდია ამ ამანათების შეძენაში. მუნიციპალიტეტის მერია ყველა ჩვენი ღონისძიების დამფინანსებელი გახლავთ." _ ამბობს წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი ნათია პაპავა.

როგორც ხდება ხოლმე, აქ ყველა სტუმრობას გართობა მოჰყვება და საერთო მხიარულებაში უფროსებიც ჩართეს "ლამპარის" აღსაზრდელებმა. საკუთარი შესაძლებლობები სახელდახელოდ გამართულ კონცერტში ჩაატიეს და სათქმელი მადლიერებით უთხრეს სტუმრებს.

თეა გაგუნაშვილი

...და ის, ვინც მეჩხებთან ერწივაღ გვაქცევდა

ნათია ნაცვლიშვილი

მეთერთმეტე სკოლიდან ღვაწლმოსილი პედაგოგები გააცილეს, პედაგოგები, რომელთაც ეპოქა შექმნეს, ღირსეული თაობები აღზარდეს, დააკვალიანეს, დააფრთიანეს, ახლა მათი აღზრდილები სხვადასხვა საპატიო პოსტებზე არიან, მათი ქუჩაში შეხვედრა ხშირად სიცოცხლეს უხანგრძლივებს ამაგდარ მასწავლებლებს. ეს ასეა, მასწავლებელს არც დაბერების უფლება აქვს, არც მოწყენის, არც სულის ამოთქმის, მისი მაჯისცემა თუ გულისცემა ყოველთვის უნისონშია სკოლასთან, ასე რომ არ ყოფილიყო, სხვათა შვილები საკუთარივით რომ არ შეეყვარებინათ და მათში დიდი სიყვარულის ცეცხლი არ აენთოთ, უდავოა, ასეთ ემოციურ და თბილ გაცილებას ვერ დაიმსახურებდნენ!

ნავად მიესალმნენ საკუთარ პედაგოგებს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. სკოლის კურსდამთავრებულმა, მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტმა მარიამ ტორონჯაძემ ქართული და უცხოური ჰიტები ბრწყინვალედ შეასრულა და უამრავი აპლოდისმენტი დაიმსახურა.

საპატიო პედაგოგთა შორის ის პედაგოგებიც იყვნენ, რომლებიც წლების წინ გააცილა სკოლამ. სკოლიდან წავიდნენ: ნათელა ქუთათელაძე (ქართული), გულნარა კალანდაძე (გეოგრაფია), ლალი პირტახია (დაწყებითი), მაია ჭახნაკია (დაწყებითი), ნუნუ ქუთათელაძე (ფიზიკა), ნუნუ გიგინეიშვილი(ფრანგული), ციცინო ფრანგიშვილი (ქართული), გულიკო ახობაძე (ფიზიკა), დოდო გოგიშვილი (მათემატიკა), ზოია დოლიძე (დაწყებითები), მარინა ქართველიშვილი (ისტორია), ლუიზა ინასარიძე (გერმანული), ნაირა ქორიძე (დაწყებითები), იზო შაშიაშვილი (ქართული), ჟუჟუნა სუპატაშვილი(ქართული), ნუნუ ჭურაძე (რუსული) და ნუნუ წილოსანი (ექთანი).

თითოეულ პედაგოგს მეთერთმეტე საჯარო სკოლის დირექტორმა, ნანა მანჯგალაძემ სკოლის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ნანა მანჯგალაძე: " ეს ღონისძიება უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით წარმოგიდგინეთ, გვინდოდა, კიდევ ერთხელ მოგფერებოდით, არ მოგცემთ უფლებას, დაგვაკლდეთ, ჩვენ სკოლის მნიშვნელოვან პრობლემებზე სამსჯელოდ შექმნილი გვაქვს მხარდამჭერთა საბჭო, სადაც მოგიწვევთ, თქვენ მხოლოდ ხელფასის უწყისში არ ფიქსირდებით, თქვენ ხართ ის ადამიანები, ვინც ყველაზე მძიმე პერიოდები გამოიარეთ, საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით აკეთებდით, ეს სკოლა იყო ფლაგმანი სამტრედიის რაიონის, და აქამდე რუდუნებით მოგვიტანეთ, მადლობა თქვენ ამისათვის!"

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: " მოგესალმებით, გილოცავთ დღევანდელ დღეს, იმ 6500 პედაგოგს შორის, რომლებიც სახელმწიფომ ღირსეულად გააცილა, ბრძანდებით თქვენც, ამ დარბაზში დღეს ითქვა, რომ არ ითვლებით მუდმივად წასულად და არ წყვეტთ საყვარელ სკოლასთან კავშირს, ვშიშობდი, როგორ მოხდებოდა ჩანაცვლება. იმისთვის, რაც გააკეთეთ, მომავალი თაობისგან დიდი მადლობა გეკუთვნით, ეს სკოლა გამორჩეული სკოლაა, განათლების და მეცნიერების სამინისტროს სახელით, მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი საპატიო სიგელებს გადმოგცემთ თქვენი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის".

მუნიციპალიტეტის პრესტიჟულმა და ყველაზე დიდკონტინგენტიანმა სკოლამ უამრავი თბილი სიტყვა უთხრა ამავე სკოლის ყველა იმ პედაგოგს, რომელიც წლევანდელი სასწავლო წლიდან სკოლას დაემშვიდობა და სახელმწიფოსგან ღირსეული ჯილდო მიიღო. ღონისძიებაში მონაწილეობა მეხუთე, მეექვსე, მერვე და მეათეკლასელებმა მიიღეს. წამყვანები უფროსკლასლები იყვნენ, ხოლო ქორეოგრაფიული თუ მუსიკალური ნომრები უმცროსკლასელებმა წარმოგვიდგინეს პედაგოგების ნანა მიქელაძის, ელისო რობაქიძის, ელისო ბარათელის, ქორეოგრაფების ლანა შენგელიასა და თეონა კაკაძის ხელმძღვანელობით.

_ ამქვეყნად მრავალი პროფესიაა, მათ შორის არის ერთი, ფასდაუდებელი და ყველაზე საჭირო, სადაც შემოქმედებითობას ფართო გასაქანი აქვს, მასწავლებლობა _ ესაა უარყოფა საკუთარი თავისა, წასვლა დიდ გმირობაზე, მასწავლებლობა პროფესია არ არის, ღვთისმსახურებაა... როგორც პატარა წიწილები, ისე შეგვიფარეთ თქვენს ფრთებქვეშ, და დიდხანს გვატარეთ, გმადლობთ იმ ნაბიჯებისათვის, ღიმილისათვის, თქვენი სიმდიდრე აღზრდილების სიყვარულია! _ ამ ემოციურ მიმართვას როგორც ქართული, ისე უცხოური სიმღერები მოჰყვა, უმცროსკლასელები შესანიშნავად მიესალმნენ საკუთარ პედაგოგებს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. სკოლის კურსდამთავრებულმა, მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტმა მარიამ ტორონჯაძემ ქართული და უცხოური ჰიტები ბრწყინვალედ შეასრულა და უამრავი აპლოდისმენტი დაიმსახურა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერი ფოცხვერია: "მოგესალმებით, მართლაც გამორჩეული სკოლის პედაგოგები ემშვიდობებიან სკოლას, იშვიათი შემთხვევაა, ამდენი მასწავლებელი ერთდროულად ღირსეულად მიდიოდეს, სახელმწიფომ დაპირებული ჯილდო გადმოგცათ, განსაკუთრებულ მადლობას გეუბნებით თქვენი უდიდესი ღვაწლისთვის, არა მარტო მუნიციპალიტეტის, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილები ბრძანდებით, ძალიან კარგად, ამაყად გამოიყურებით, მივესალმები მათაც, ვინც მოსვლა ვერ შეძლო, თქვენს ახალგაზრდა კოლეგებს მოვუწოდებ, განაგრძონ სკოლის საუკეთესო ტრადიციები."

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: "მე ამ სკოლის კურსდამთავრებულად ვითვლები, მოგესალმებით ძვირფასო პედაგოგებო, მინდა საკრებულოს თავმჯდომარისგან გადმოგცეთ მოკითხვა და მოლოცვა, თქვენი შრომა და ღვაწლი მართლაც შეუფასებელია, მადლობა თქვენ დიდი სიყვარულით საქმის კეთებისა და ღირსეული თაობების აღზრდისათვის."

მაია ლორია, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი: "ალბათ გადაჭარბებულად არ ჩამითვლი, თუ განვაგრძობ თემას, ღრმად პატივცემული მთავრობა და მხედრობა მიხვდა, რომ მასწავლებელს უნდა დაუფასდეს შრომა, ჩემო მარგალიტების მთესველებო, ჩემი კედლის და სახატის ძვირფასო ხატებო, თქვენ გიჭირავთ ჩვენი ქვეყნის მაჯისცემა, ჩვენი ქვეყანა თქვენ ბეწვის ხიდზე გაატარეთ, მადლობა ამისათვის!"

ლუდმილა სტურუა, სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის პედაგოგი: "საყვარელო კოლეგებო, მოგესალმებით და გეტყვით, ჩვენი დირექტორის, აწ განსვენებული ლენა ხაჟალიას ხელიდან გავარდნილი მეთერთმეტე სკოლის დროშა ნანამ არათუ მიწაზე დაანარცხა, პირიქით, მაღლა ასწია, გააგრძელა სკოლის საუკეთესო ტრადიციები, კოლეგებთან ერთად. 43 წლის სტაჟის მქონე მასწავლებელი ვარ, გადიან დღეები, წლები, თმაში ჭაღარა მატულობს, მაგრამ მასწავლებლის უბერებელი გული მკარნახობს, განა არ იცი? დედამიწაზე ერთადერთი პროფესიაა მასწავლებლის პროფესია, ვისთანაც დამარცხებულია სიბერე! ჩვენ არ გვაქვს უფლება, ამ ფართოდ გახელილი, სუფთა თვალების წინაშე ენერგიულები და მხნენი არ ვიყოთ!"

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ციცინო ფრანგიშვილმა დარბაზს სთხოვა, წუთიერი დუმილით მიეგოთ პატივი სკოლის განსვენებული დირექტორის, ლენა ხაჟალიასათვის, ის მიესალმა კოლეგებს და უსურვა მათ, გააგრძელონ სკოლის საუკეთესო ტრადიციები.

მარინა ქართველიშვილი, სკოლის ისტორიის პედაგოგი: "დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოგესალმებით, თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ ცხოვრების მეგზურად პედაგოგობა ავირჩიე, თაობები მიდიან, მოდიან, ჩვენ ვაღმერთებდით უამრავ თაობას მასწავლებლებისას, უცებ, ჩვენც მათ ამპლუაში აღმოვჩნდით, ჩვენ გვახარებს თბილი და ღიმილიანი სახეები ჩვენი აღზრდილებისა, მივდივართ, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ფუნქციადაკარგულები მივდივართ, ესაა გარე დაკვირვების მეთოდი, რომელსაც ჩვენ მოვიმარჯვებთ. დღეს საჩუქრად საათი გვსურს გადმოგცეთ, არა იმიტომ, რომ ჩვენს სამასწავლებლოში საათი ხშირად ფუჭდება, არამედ იმიტომ, რომ ახალგაზრდებმა ხშირად შეხედონ მას, ძვირფასი წუთები მოსწავლეებს მოახმარონ და სკოლის ღირსეული ტრადიციები შეინარჩუნონ. ვინც ჩემთან ერთად წავიდნენ, მათ ენერგეტიკა და პოტენციალი არ აკლიათ, მოგიწოდებთ, დრო და წლები დავამარცხოთ, დამერწმუნეთ, ვისშიაც ახლის ძიების სურვილი არ ჩაკვდება, მას წლები ვერას დააკლებს!"

პროექტი "სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაძლიერებული სწავლება"

მე-11 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი მანანა ტყეშელაშვილი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ქალაქ თელავიდან. სამი დღის განმავლობაში სპორტის პედაგოგმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგი გაიარა. მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით უკვე მე-3 წელია, მიმდინარეობს პროექტი სახელწოდებით "სკოლებში ფიზიკური აღზრდის და სპორტის სწავლების გაძლიერება".

პროექტში ჩართულია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები. ძირითადად თითო სკოლა. შესაბამისად ამ სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები გადიან სწავლებას, ინიშნებიან კოორდინატორებად. სამტრედიიდან ამ პოზიციაზე წელს, მაისში, მანანა ტყეშელაშვილი დაინიშნა.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა თელავიდან დაბრუნებულ პედაგოგს და იმ საკითხებზე ესაუბრა, რაც სამტრედიის ყველა საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგმა თავის სკოლაში უნდა განახორციელოს.

მანანა ტყეშელაშვილის თქმით, ყველა სკოლაში შეიქმნება სპორტული კლუბები: "ამ კლუბებში გაერთიანებულები უნდა იყვნენ ყველა სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც უნდა ივარჯიშონ და მიიღონ სასპორტო ფესტივალებში მონაწილეობა, ასევე _ ლაშქრობებში, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში. პროექტის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა იყოს სპორტულ აქტივობებში ჩართული. ახალგაზრდები არ უნდა იყვნენ ქუჩაზე დამოკიდებულები. ჩვენ ვიცით, რომ საჯარო სკოლებში მოშლილია სპორტული ინფრასტრუქტურა, მოძველებულია ინვენტარი, ახალგაზრდების 80 პროცენტი ხერხემლის სხვადასხვა სახის დაავადებით არის დაავადებული. ამიტომ სპორტის მასწავლებლის ვალდებულებაა, იზრუნოს, რომ დაწყებით კლასებში სპორტის გაკვეთილებზე სპეციალისტები შევიდნენ, ასწავლონ სწორი მოძრაობები ბავშვებს, რომლებიც არ გამოიწვევს ხერხემლისა და კიდურების დაავადებების განვითარებას, არსებული პრობლემების შემთხვევაში კი მშობელს საქმის კურსში ჩააყენონ. უნდა ვეცადოთ, ნებისმიერი მოსწავლე გარე თუ სასკოლო სპორტულ აქტივობებში ჩავრთოთ".

მანანა ტყეშელაშვილს პროექტის კოორდინატორობა ავალებს, რომ ყველა საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგს გაუწიოს რეკომენდაცია, სკოლაში შეიქმნას სპორტული კლუბი, ფეისბუქგვერდი, ყოველი თვის ბოლოს სპორტის პედაგოგმა უნდა ჩაატაროს შიდა სასკოლო ფესტივალი, რასაც ფეისბუქგვერდზე დაადასტურებს კიდეც.

ნინო ნანიტაშვილი

"ეკო-მებრძოლების" გარემოსდაცვითი აქტივობა

ნათია ნაცვლიშვილი

"სამტრედიის მაცნე", როგორც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, ნებისმიერი ახალგაზრდული ინიციატივის მხარდამჭერია. ამჯერად თანამშრომლობის და ურთიერთგაგების მემორანდუმი გაზეთსა და მეათე საჯარო სკოლის ეკო-კლუბ "ეკო-მებრძოლებთან" გაფორმდა. კლუბი მონაწილეობს ახალგაზრდულ გარემოსდაცვით კონკურსში "ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2020". კონკურსის ორგანიზატორები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი.

5 დეკემბერს "ეკო მებრძოლები" გამოეხმაურნენ ნიადაგის საერთაშორისო დღეს, კლუბის წევრმა, მარიამ ხაჟომიამ გააკეთა პრეზენტაცია სამიზნე აუდიტორიასთან (მე-2, მე-3 საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები და სხვა მოსწავლეები) პრეზენტაციის შემდგომ გაიმართა დისკუსია, გამოითქვა მოსაზრებები გარემოს დაბინძურების პრევენციული გზების შესახებ. მოსწავლეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თემში დასუფთავების აქციის მოწყობის საკითხს.

10 დეკემბერს "ეკო-მებრძოლებმა" გარემოსდაცვითი ღონისძიება ჩაატარეს, ინიციატივასთან დაკავშირებით სამი დღით ადრე მიეწოდათ ინფორმაცია სკოლის სხვა მოსწავლეებს, დასუფთავების აქცია დაიგეგმა სკოლისა და თემის საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. აქციაში ჩართულობა იყო მაღალი, მონაწილეობდნენ მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეები, საკუთარი სამუშაო ინვენტარით აღჭურვილმა ბავშვებმა დაასუფთავეს სკოლის ახლოს მდებარე დასასვენებელი სკვერი, რისთვისაც, თემის საზოგადოების მხრიდან შექება და მადლიერება დაიმსახურეს.

სამოქალაქო კლუბ "ეკო-მებრძოლების" კურატორები არიან მეათე საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების წამყვანი მასწავლებელი ეკატერინე ფოცხვერია და სპეციალური მასწავლებელი, ხატია თევზაძე.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა ეკატერინე ფოცხვერიას:

"კლუბმა "ეკო-მებრძოლებმა" შპს "სამტრედიის მაცნესთან" ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა, რაც ითვალისწინებს ბეჭდვური მედიის მხარდაჭერას და ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიების პრესაში ასახვას. კლუბის წევრები შეირჩნენ მათი გამოცდილებიდან (პროექტებში, პრეზენტაციებში მონაწილეობა) გამომდინარე. წევრები არიან ირინე ვაშაკიძე (ლიდერი), გაგი თევზაძე, სალომე სულავა, ლუკა შენგელია, მარიამ ხაჟომია, სალომე ტაბიძე, ნიკა ადამია, მარიამ ზამთარაძე, ნინი თავაძე, გიგი ლორია. კლუბთან თანამშრომლობენ და მათ შეხვედრებს ესწრებიან მოხალისეები; ნია ჯანაშია, ირმა კვატაშიძე, ქეთი ქართველიშვილი, თამუნა უზარაშვილი. კლუბის მიზანია, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა როგორც გარემოს, ასევე, სოციალური მიმართულებით. სოციალურ მიმართულებაში ვგულისხმობთ სსსმ მოსწავლეების ინტეგრაციის ხელშეწყობას კლუბის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა გარემოსდაცვით აქტივობებში".

ᲕᲘᲡᲐᲒ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ

“წიგნი თეორმას შეიცვლის და გვექნება არა ქალაქის, არამედ, ელექტრონული წიგნები”

ᲜᲐᲗᲝᲘᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გიორგი ფანცულაია დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში სტუმრობისას, ვიდის ამბლუაში გავიცანი. იმთავითვე გაჩნდა მისი წიგნებზე სასაუბროდ მოწვევის იდეა. ჩვენს რუბრიკას “ვისაც ლიტერატურა უყვარს” მისი სახით უდავოდ საინტერესო სტუმარი ჰყავს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი გიორგის აღიარების კულტურა და ნიჭი, რა სიყვარულით და პატივისცემით საუბრობს იგი როგორც მის კოლეგებზე, ისე ყოფილ პედაგოგებზე. სამწუხაროდ, არაერთი ნიჭიერი ადამიანი ამ კულტურას მოკლებულია...

_ მუზეუმში ფონდების მცველად მუშაობთ, ხშირად გხედავენ წიგნით ხელში, როგორ ფიქრობთ, რა დატვირთვა უნდა ჰქონდეს წიგნს გლობალიზაციის ეპოქაში?

_ ჩემთვის უდიდესი პატივიც არის და პასუხისმგებლობაც, ვიყო “დიდი ნიკოს” სახლ-მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომელი. მუზეუმს ემსახურება კარგი გიდი, ხოლო სხვა თანამშრომლები მის ფუნქციას მხოლოდ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ვითავსებთ. ამ მუზეუმს არაერთი ღირსეული ადამიანის შრომა ახსოვს. მისმა შემქმნელებმა და ამაგდარმა მესვეურებმა ქალბატონმა თ. ჭილაძემ და ბატონმა ვ. ბიბილეიშვილმა ამ მუზეუმის შექმნითა და აღორძინებით წვლილი შეიტანეს ერთი მხრივ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისი მომავალი თაობისათვის შენარჩუნების და მეორე მხრივ, “დროსგასწრებული მამულიშვილის”, “კაცი-სახელმწიფოს”, ქართველი ევროპელის, გნებავთ, ევროპელი ქართველის, ნიკო ნიკოლაძისა და ზოგადად, “ნიკოლაძეთა საგის” ფართო საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობის საქმეში. ჩვენ მოვალენი ვართ მათი ხსოვნის წინაშე. სასიხარულოა, რომ მათ საქმეებს ღირსეულად აგრძელებს და ნიკოლაძეთა მემკვიდრეობას ესათუთება მათი შვილი_ ქ-ნი ლია ბიბილეიშვილი, ამ საქმისთვის თავდადებული ადამიანი და ნიკოლაძეთა ოჯახის ისტორიის, ნიკოს ნაზრევის არაჩვეულებრივი მცოდნე, სხვათა შორის, ჩემი ყოფილი პედაგოგი შესანიშნავ გუნდთან ერთად. ასე რომ მაქვს პატივი, ვიყო აქ, მათ ნაკვალევზე და ამ პოზიტიური ადამიანების გვერდით. “სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო” და ვფიქრობ, ქ-ნ ლიას თავდადებული შრომა ღირსეულად იქნება დანახული, დაფასებულიცა და შეფასებულიც.

რაც შეეხება კითხვის მთავარ ნაწილს, გლობალიზაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ისე, როგორც ყველაფერს ამქვეყნად, ჩვენ მას ვერსად გავექცევით. უნდა ვეცადოთ, მივიღოთ მისგან სარგებელი, ცხადია, უნდა დავრჩეთ თვითმყოფადი კულტურის, იდენტობის მქონე ერად და ამავე დროს, აუცილებლად ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიმკვიდროთ თანამედროვე მსოფლიოში, ევროპულ ხალხთა ოჯახში. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არა მგონია, წიგნს გლობალიზაცია რაიმე საფრთხეს უქმნიდეს. მგონია, იგი, როგორც ცოდნის მიღების ინსტრუმენტი, შეინარჩუნებს თავის ფუნქციას, როგორც ჰქონდა წარსულში, უბრალოდ, ფორმას შეიცვლის და მომავალში გვექნება არა ქაღალდის, არამედ ელექტრონული წიგნები, ქაღალდის წიგნი კი დარჩება ისტორიის კუთვნილებად, სამუზეუმო ექსპონატად, როგორც დღეს არის მაგალითად, ხბოს ტყავზე დამზადებული წიგნები, ეს ტრაგედია კი არა, ტექნოლოგიური პროგრესია.

_ ცხადია, წიგნი მაინც ვერ “ჩაქოლა”კომპიუტერის საუკუნემ, მას მაინც დარჩა ასპარეზი, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა წიგნიერება და განათლება სათანადოდ დაფასებული? მომავალი თაობის წიგნიერებისკენ მისაბრუნებლად ალბათ ხელთ უნდა გვქონდეს არგუმენტი: “ აი, რა კარგი მომავალი აქვს ყველა იმ ადამიანს, ვინც წიგნთან მეგობრობს”.

_ რა წარმოადგენს წიგნის ფუნქციას? ინფორმაციის, უფრო მეტიც, ცოდნის მიღება, გარდა ამისა, წიგნი შესაძლებელია გამოყენებული იყოს, როგორც დასვენების, განტვირთვის, გნებავთ გართობის საშუალებადაც. ცხადია, გააჩნია წიგნს, მკითხველს და მკითხველის განწყობას. მსგავსი ფუნქცია აქვს კომპიუტერსაც. ასე რომ, კომპიუტერი კი არ უქმნის საფრთხეს “წიგნიერებას” ანუ, განათლებას, არამედ, ჩვენი დამოკიდებულება მისადმი როგორ, რა მიზნით ვიყენებთ მას. მომავალი ეკუთვნის ტექნოლოგიებს და სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში, ტექნოლოგიები ისევ მოგვემსახურებიან ცოდნის მისაღებად, როგორც გვემსახურებოდა ქაღალდის წიგნი. არის დაფასებული წიგნიერება? განათლებას თავისი ფასი ჰქონდა, აქვს და მუდამ ექნება, მაგრამ არსებულ უმძიმეს სოციალ-ეკონომიკურ პირობებში, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება, სამწუხაროდ, წიგნიერი, განათლებული ადამიანი ვერ არის სათანადოდ დაფასებული. ვოცნებობ ისეთ საქართველოზე, სადაც ყველა ადამიანი თავისი ნიჭის, პროფესიონალიზმის და შრომისმოყვარეობის მიხედვით იქნება დაფასებულ-შეფასებული, წიგნთან როგორ მივაბრუნოთ ადამიანები? _ უპირველეს ყოვლის, მათ უნდა დავანახოთ, რომ უკეთ ცხოვრება სწორედ წიგნიერებაზე, განსწავლულობაზე გადის, სხვაგვარად გაჭირდება. ძნელია ადამიანი მიაბრუნო წიგნიერებისკენ, როცა ჩვენს ქვეყანაში ამდენი მშიერი წიგნიერი ადამიანი გვყავს. ისე კი, მიხარია, რომ ჩვენში ბოლო დროს სულ უფრო “მოდური” ხდება წიგნის კითხვა, რისი დასტურიცაა თუნდაც სოციალურ ქსელში ამდენი ჯგუფი თუ გვერდი მკითხველებისა. ასევე წიგნის მაღაზიები, სადაც სულ უფრო მეტ ახალ გამოცემას, თარგმნილსა თუ ორიგინალურს ვაწყდებით. ისე კი, მთავარია, მკითხველები ვიყოთ და არა გადამკითხველები.

_ განათლებით ფილოსოფოსი ბრძანდებით, ალბათ ძირითადად, ფილოსოფიურ ლიტერატურას კითხულობთ, თქვენს ბიბლიოთეკაში რა ჟანრის ლიტერატურის სიჭარბეა?

_ ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაში ადრე სჭარბობდა ჩემი მშობლების მიერ შეძენილი ისტორიული და ქართული მხატვრული ლიტერატურა, დღეს კი, მასში აშკარად შეინიშნება საზღვარგარეთის მხატვრული ლიტერატურის გვერდით ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის სიჭარბე. ფილოსოფიური ხასიათის ლიტერატურასთან ერთად ხშირად ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას, რადგან, კარგი მწერალი თუ პოეტი ზოგჯერ გასაგები მიზეზების გამო გაცილებით ლაკონურად, მაგრამ გულში ჩამწვდომად ამბობს იმ სათქმელს, რომლის გადმოცემასაც, ფილოსოფოსები სქელტანიან შრომებს ანდომებენ ხოლმე. ეს იმას არ ნიშნავს, ამათგან რომელიმე უფრო მაღლა იდგეს, უბრალოდ, ყველაფერს თავისი ადგილი და გამოხატვის ფორმა აქვს. ფილოსოფია რაციონალური აზროვნების, ხოლო, მხატვრული ლიტერატურა _ გრძნობის, განცდის მეშვეობით ცდილობს, შ ეიმეცნოს სამყარო, ადამიანი. თუ მკითხავთ, ახლა რას ვკითხულობ, გიპასუხებთ: ვაჟა შუბითიძის წიგნს “ნიკო ნიკოლაძე _ კაცი სახელმწიფო” და რუდოლფ შტაინერის “აკაშა ქრონიკიდან”.

მკითხეთ, წიგნიერი ადამიანი თუ არის დაფასებულიო და იცით, რა მინდა? საკმარისად მქონდეს ფულადი რესურსი, რომ მეტი წიგნი შევიძინო, კარგია, რომ საგამომცემლო საქმე წინსვლას განიცდის, მაგრამ წიგნები ისეთი ძვირი ღირს, რომ... მხატვრულ ლიტერატურას ჩემს მენიუში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს, გააჩნია განწყობას. არის პერიოდი, როცა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ, შემდეგ ისევ ფილოსოფიურს ვუბრუნდები.

_ დაგვისახელეთ საყვარელი მწერლები, როგორც ქართველი, ისე უცხოელები...

_ მესმის რასაც გულისხმობთ, თუმცა რატომღაც არ მომწონს გამოთქმა “ საყვარელი მწერალი”, ცხოვრების ამ ეტაპზე ასეთი მწერლები არ მყავს, მაგრამ არსებობენ ავტორები და ტექსტები, რომელთაც სხვადასხვა დროს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ ჩემზე. აი, მაგალითად, მ. სერვანტესი “დონ კიხოტი”, თ. დოსტოევსკი” მკვდარი სახლის ჩანაწერები”, “ძმები კარამაზოვები”, ლ. ტოლსტოი “აღდგომა”, ვ. ჰიუგო “ საბრალონი”, თ. მანი “ჯადოსნური მთა”, “სიკვდილი ვენეციაში”, “ტონიო კროგერი”, ჯ. ჯოისი” ულისე”, ალ. კამიუ “ შავი ჭირი”, გაბრიელ გარსია მარკესი” პატრიარქის შემოდგომა”, მ. ვ. ლიოსა “ვაცის ნადიმი” ჰ. ბიოლი”კლოუნის თვალთახედვა”, დ. ლესინგი “ოქროს რვეული”, ო. ჭილაძე “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან”, კ. გამსახურდია “დიონისოს ღიმილი”, “მთვარის მოტაცება”, გრ. რობაქიძე “გველის პერანგი” ჯ. ხ.ჯიბრანი ... სჯობს აქ გავჩერდე, რადგან, ვრცელია ამგვარი ავტორების და ტექსტების ჩამონათვალი...სულ ბოლო დროს შთაბეჭდილება მოახდინა ბორის აკუნინმა (გრ. ჩხარტიშვილი).

_ თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს რამდენად ადევნებთ თვალყურს?

_ ვერ ვიტყვი, რომ თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს თვალყურს ვადევნებდე, თუმც კი, ამ ეტაპზე თანამედროვე მწერლები ბევრად მეტად მაინტერესებს, ვინაიდან მათ ნაწარმოებებში გადმოცემული პრობლემები ბევრად მეტად ეხმიანება იმას, რაც მტკივა, რაც მაფიქრებს... ზოგადად, ჩემი აზრით, ორი სახის მკითხველი არსებობს: ესთეტიკური და ფილოსოფიური, პირველი, სიტყვის, გამოხატვის ფორმის სილამაზეს ეძებს, მეორე _ სათქმელის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ სიღრმესა და მნიშვნელობას. მე ამ უკანასკნელს განვეკუთვნები.

ჩვენს თანამედროვე ქართველ მწერალთაგან კი, გურამ დოჩანაშვილთან ერთად ჯემალ ქარჩხაძეს გამოვყოფდი.

_ პოეზიასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ? საყვარელი პოეტის რომელიმე სტროფი გვითხარით...

_ პოეზიასთან ბავშვობიდან ვმეგობრობ, მოსწავლეობის პერიოდში ხშირად ვლებულობდი ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც დეკლამატორი, ლექსის მხატვრულად კითხვის უკეთ ათვისებაში დიდი დახმარება გამიწია ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ინეზა ვაშაკიძემ, მადლიერებით ვახსენებ კიდევ ერთ პედაგოგს ბატონ თ. ნუცუბიძეს, პოეზია-ეს სულის უნივერსალური მუსიკაა და ვერ წარმომიდგენია, ქართველს მხატვრული სიტყვის ეს ნაწილი არ უყვარდეს, როცა ასეთი უძვირფასესი, უდიდებულესი საგანძური გვაქვს ქართული პოეზიის სახით, სამწუხაროდ, იმათ რიცხვში ვარ, საკუთარ სათქმელს სხვათა შექმნილი ლექსით რომ ამბობს, რადგან, თავად მუზებს დაავიწყდათ, სულ დამდევს ესა თუ ის ლექსი ან ნაწყვეტი ლექსიდან. ბოლო დღეებია, თამაზ ჭილაძის ლექსი ამეკვიატა: “ღრუბლის ნახი ფთილა, თითქოს საიქიოდან გადმოსული ფრთხილად. თითქოს რაღაც იცოდა, რაღაცის თქმა სურდა... სიჩუმეში ისმოდა ღმერთის წყნარი სუნთქვა.”

_ ოჯახში გაქვთ წიგნი რომელიმე მწერლის ან პოეტის ავტოგრაფით? გქონიათ ურთიერთობა რომელიმე ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან? გაიხსენებთ საინტერესო ეპიზოდებს ამ ურთიერთობიდან?

_ ერთი უბრალო ადამიანი ვარ და ჯერ არ მქონია ცოცხალი ურთიერთობის ბედნიერება ჭეშმარიტ საზოგადო მოღვაწეებთან, განსაკუთრებულად საყვარელ ციტატას ნოდარ დუმბაძის “მარადისობის კანონიდან” მოვიყვან:

“ მარადისობის კანონის აზრი იმაში მდგომარეობს პატივცემულო პროფესორო, რომ ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე -სხვისი, სხვამ სხვისი და ასე, დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...”

_ ასწავლიდით გელათის სასულიერო აკადემიაში, ამჟამად ქართულ-ამერიკულ სკოლაში სამოქალაქო განთლებას ასწავლით, როგორ ფიქრობთ, რა ღირებულებებს და ფასეულობათა სისტემას ეფუძნება თანამედროვე სასულიერო სასწავლებელი და რა ფასეულობებს ვასწავლით ახალ თაობას იმ ახალი საგნით, რომელსაც სამოქალაქო განათლება ჰქვია, დღეს ბევრს საუბრობენ ღირებულებათა კრიზისზე, ხომ არ არის ეს კრიზისი იმით გამოწვეული, რომ ქსელებში, პლანშეტში თავჩარგული ადამიანი წიგნს, სულიერებას დაშორდა?

_ სამწუხაროდ, დღეს სასულიერო განათლების სისტემა, ისევე, როგორც საერო, მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. საქართველოში არსებული სასულიერო განათლების სისტემა ვერაფრით პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, იქ ხშირად სუფევს განწყობა, რომ თუ ადამიანი სასულიერო ხარისხში დადგინდება და ღვთისმსახურების უფლება მიენიჭება, მასზე გადმოსული სულიწმიდის მადლით მას შეეძლება მრევლის საჭიროებები და მოთხოვნილებები დაკმაყოფილოს. ეს აბსურდია! აუცილებელია, სასულიერო განათლების კერები გარდა კარგი საღვთისმეტყველო ცოდნისა, საერო მეცნიერებებსაც სიღრმისეულად ასწავლიდნენ და არ ჰქონდეთ შიში თავისუფლად აზროვნებისა. ვერ წარმომიდგენია თავისუფლების რელიგიის, ქრისტიანობის აღმსარებლებს თავისუფალი აზრის შიში ჰქონდეთ, ჩემთვის ეს არის ინდიკატორი ჩვენი ქრისტიანობისა _ გაქვს შიში თავისუფლების, ღიაობის, გამოწვევების? ე. ი. ჯერ კიდევ შორს ხარ ქრისტიანობისგან!

რაც შეეხება სამოქალაქო განათლების, როგორც საგნის სწავლებას სკოლებში, მისი მიზანია სკოლის მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, სამოქალაქო აქტივიზმის სულისკვეთების ჩამოყალიბება, ამ საგნის სწავლების ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ და ეცნობიან დემოკრატიის რაობას და მის ისტორიას, პოლიტიკურ სისტემებსა და მმართველობის ფორმებს, ეკონომიკურ სისტემებსა და სხვა საკითხებს. რაც მთავარია, ადამიანის ძირითად თავისუფლებებსა და უფლებებს.

საბოლოო ჯამში, სამოქალაქო საგნის უმთავრესი მიზანია, წვლილი შეიტანოს ქართული საზოგადოების სრულფასოვან თანამედროვე, დემოკრატიულ, ევროპულ საზოგადოებად ტრანსფორმირების საქმეში.

მე თუ მკითხავთ, რაც კაცობრიობა არსებობს, მისი საუკეთესო ნაწილი მუდამ ჩივის სულიერების დეფიციტის შესახებ. ხომ კარგად ვიცით, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს ჯერ კიდევ ფრიდრიხ ნიცშე საუბრობდა ქრისტიანული ევროპის ტრადიციულ ღირებულებათა სისტემის კრიზისზე, განა მეოცე საუკუნე ნიჰილიზმის ნიშნით არ შევიდა აზროვნების ისტორიაში? ასე რომ, ესეც გაივლის და აპოკალიფსური სურათის დახატვა არ ღირს.

_ რამდენად ხშირად სტუმრობენ მუზეუმს საზოგადო მოღვაწეები? რამდენად აცნობიერებენ თანამედროვე ქართველები ნიკოლაძის სიდიადეს?

_ მე თუ მკითხავთ, ამ და სხვა საჭირბოროტო პრობლემებზე პასუხების მოძიება, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შესაძლებელია ნიკო ნიკოლაძის შრომებში, ყველას ვურჩევდი, გაეცნოს მის ნაზრევს, დღეს ნიკოლაძე ძალიან გვჭირდება, მოდი, წავიკითხოთ მისი თხზულებები, მაგალითად, დავიწყოთ მისი “შამულის სიყვარული და მსახურებიდან”. ამ სახლ-მუზეუმს პერიოდულად სტუმრობენ სხვადასხვა დარგის ცნობილი ადამიანები, მაგრამ სასურველია, მათი რიცხვი და ყურადღება გაიზარდოს. ძალიან სამწუხაროა, რომ ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ნაზრევი, დღემდე სათანადოდ არაა დაფასებული, არადა ნიკოლაძე იყო საქართველოში ახალი იდეების გენერატორი და განმახორციელებელი, ქვეყნისათვის მიმართულების მიმცემი დიდი მამულიშვილი, ასეთი დიდკაცები ბევრ დიდ ერსაც კი არ ჰყავს, საჭიროა, ვისწავლოთ ასეთების დაფასება და მათთვის კუთვნილი სათანადო ადგილის დროულად მიჩენა. მისი ადგილი კი, უეჭველად არის ილიას გვერდით და არა მის შემდეგ ან სხვათა ჩამონათვალში, “(იხ ვაჟა შუბითიძე “ნიკო ნიკოლაძე- კაცი-სახელმწიფო”თბ, 2013.) ძალიან სამწუხაროა, რომ სასკოლო პროგრამაში (ისტორია, სამოქალაქო განათლება) არ ისწავლება ნიკოლაძე. ჩემი აზრით, ეს შეცდომა რაც შეიძლება, დროულად უნდა გამოასწოროს განათლების სამინისტრომ.

“სამტრედიამ” პლეიოფში უმაღლესლიგელი “სიონი” დაამარცხა

ნინო ნანიტაშვილი

ერთწლიანი პაუზის შემდეგ “სამტრედია” ეროვნულ ლიგაში დაბრუნდა. გადამწყვეტ ბრძოლაში სამტრედიის “სამტრედიამ” ბოლნისის “სიონი” ანგარიშით 4 : 1 დაამარცხა.

სამტრედიელი ფეხბურთელები პირველ მატჩში ცოტათი დაძაბულები იყვნენ, რადგან ეროვნული ლიგის გუნდს სტუმრად ეთამაშებოდნენ. ამ მატჩში “სამტრედიის” მიზანი გოლის არ გაშვება იყო და ასეც მოხდა. “სიონს” ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილ. კახა კაჭარავამ და მისმა სამწვრთნელო შტაბმა მეტოქე კარგად შეისწავლა და მიზანსაც მიაღწიეს. სამტრედიელმა ფეხბურთელებმა მაქსიმუმი ჩადეს ამ გეგმის შესასრულებლად. გამარჯვების გეგმა კი ასე განხორციელდა: თამაში 11 დეკემბერს, სამტრედიაში გაიმართა.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონის სავსე ტრიბუნები და პლეიოფის პირველ შეხვედრაში, ბოლნისში ფრედ 0 : 0 დასრულებული მატჩი ის ორი უპირატესობა იყო, რომლითაც “სამტრედია” “სიონს” დაუხვდა. კახა კაჭარავას ამოცანა ეროვნულ ლიგაში დაბრუნება გახლდათ და მისმა გუნდმა ამ ამოცანას თავი გაართვა.

კახა კაჭარავამ პირველი მატჩის შემდეგ სათამაშო სქემა შეცვალა და ბოლნისელებს 4-4-2 ტაქტიკური განლაგება დაუპირისპირა. მე-8 წუთზე ფეხბურთელის შეცვლა მოუხდა, რადგან გიორგი ახალაძე დაშავდა და მის ნაცვლად მოედანზე გიორგი ჭეიშვილი შეუშვა.

ამან სამტრედიელებს განწყობა მაინც ვერ შეუცვალა, საპასუხო მატჩამდე მოპოვებული მცირე უპირატესობა გამოიყენეს და ბოლნისელები დიდი ანგარიშით დაამარცხეს.

ყველაფერი 32-ე წუთის შემდეგ შეიცვალა, რაშიც დიდი როლი ითამაშა გურამ სამუშიამ. მისი კუთხურის დროს, ვარლამ კილასონიამ მცველებს დაასწრო და ახლოდან ზუსტი თავურით ანგარიში გახსნა, 1 : 0. 36-ე წუთზე სტუმრებმა ჩათვალეს, რომ დიმიტრი ტატანაშვილის დარტყმის შემდეგ კილასონიას ბურთი ხელზე მოხვდა და არბიტრს 11 მეტრიანის დანიშნა მოსთხოვეს. თუმცა, გიორგი ვადაჭკორიამ ბოლნისელთა პრეტენზია უსაფუძვლოდ მიიჩნია და თამაში გააგრძელა.

38-ე წუთზე კი სამტრედიელებმა უკვე სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს _ მოედნის ცენტრში გადაცემა ნიჯატ ყურბანოვმა ჩაჭრა, ბურთი დავით რაჟამაშვილს მიუგორდა, რომელმაც საჯარიმოსკენ დაძრული სამუშია შენიშნა, ხოლო ამ უკანასკნელის მშვენიერი გადაცემით კარის წინ გახსნილმა აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა ისარგებლა _ 2 : 0 და “სამტრედია” პირველ ტაიმში 2 ბურთიანი უპირატესობით დაწინაურდა.

43-ე წუთზე ყურბანოვს ბოლნისელთა კარის მესამედ აღებაც შეეძლო, მაგრამ მიზანს ააცილა. ერთ წუთში, ბექა გვარაძის გადაცემის შემდეგ, კარის წინ ტატანაშვილი გაიხსნა, მაგრამ ბურთს ფეხი კარგად ვერ მოარტყა და მშვენიერი შანსი ხელიდან გაუშვა.

კაჭარავას გაწვრთნილებმა მეორე ტაიმში მეტოქეს უფრო თავდაჯერებით და ლაღად შეუტიეს, შესაბამისად, “სიონის” კარის ბადე კიდევ ორჯერ შეირხა.

64-ე წუთზე ორი საგოლე გადაცემის ავტორმა, სამუშიამ ახლა თავად გაიტანა გოლი. შეტევაზე გადასულმა ბოლნისელებმა ზურგი მოაშიშვლეს, სამტრედიელებმა კი მწვავე კონტრშეტევა წამოიწყეს _ გიორგი ივანიაძემ შორეული პასით მარცხენა ფლანგზე გახსნილი სამუშია მოძებნა, რომელმაც მცველი მოხდენილად ჩამოიცილა და ბურთი შორეულ კუთხეში გაიტანა _ 3 :0.

გავიდა 7 წუთი და მასპინძლებმა მორიგი უსწრაფესი კონტრშეტევა განახორციელეს. აქაც ივანიაძემ ივარგა, რომელმაც ბურთი საჯარიმოში გააყოლა დავით რაჟამაშვილს, რომელმაც ასევე სწრაფად კარის წინ ნიჯატ ყურბანოვს გადააწოდა პასი და 4 : 0.

ამის შემდეგ სამტრედიელები მოეშვნენ და დაუდევრობის გამო, გოლი გაუშვეს. ტატანაშვილმა საჯარიმოში ბოლომდე იბრძოლა და კარი წინ თავისუფალი ჯგბა უგულავა მოძებნა. ძლიერი დარტყმა და 4 : 1. საბოლოოდ, თამაში ასეც დასრულდა. “სამტრედიამ” ორმატჩიან პლეიოფში დამაჯერებლად დაამარცხა უმაღლესლიგელი ბოლნისის “სიონი”. “სამტრედია” და მისი გულშემატკივრები ერთწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ ლიგას დაუბრუნდნენ. ბოლნისის “სიონი” კი მომდევნო სეზონს ეროვნულ ლიგა 2-ში გაატარებს.

11 დეკემბრის გამარჯვებამ “სამტრედიის მაცნეს” სურვილი გაუჩინა, მკითხველებთან ერთად საყვარელი გუნდის მიერ განვლილი გზისთვის გადაეხედა.

პირველი საფეხბურთო გუნდი სამტრედიაში 1936 წელს ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ლიგაში წლების განმავლობაში წარმატებულად ასპარეზობდა სამტრედიის “ლოკომოტივი”. შემდგომში კლუბი სხვადასხვა სახელით: “სამტრედია”, “სანავარდო”, “იბერია”, მეტნაკლები წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს ჩემპიონატში.

ყველაზე დიდი წარმატება საფეხბურთო კლუბ “სამტრედიას” 1994-1996 წლებში ჰქონდა, გუნდმა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და იასპარეზა უეფას თასზე.

კლუბში სხვადასხვა დროს უთამაშნიათ ცნობილ ფეხბურთელებს: ტარიელ დვალიშვილს, დევიზ დარჯანიას, ფირუზ კანთელაძეს, გივი ბაბუნიძეს, თემურ ძაგნიძეს, სერგეი შვეცოვს. უფრო ახლო წარსულში ზაზა ჯანაშიას, კახი გოგიჩაიშვილს, გია და მიხეილ ჯიშკარიანებს, გიორგი დარასელიას, ზურაბ იონანიძეს, გრიგოლ ჭანტურიას და სხვებს. ასევე, “სამტრედიის” აღზრდილია საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფეხბურთელი კახა კალაძე.

ახლო და შორეულ წარსულში “სამტრედიას” ჰქონია ოფიციალური თუ ამხანაგური შეხვედრები საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, ტრაპიზონში გამარჯვება ადგილობრივ “ტრაბზონსფოსთან”. 2009 წელს სამტრედიაში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩები კიევის “ობოლონთან” და დილიჟანის “იმპულსთან”.

სახელწოდება: 1936-1990 წლებში _ “ლოკომოტივი” სამტრედია, 1990-1991 წლებში _ “სანავარდო სამტრედია”, 1991-1992 წლებში _ “სამტრედია”, 1992-1993 წლებში _ “ჯუბა სამტრედია”, 1998=2001 წლებში _ “იბერია სამტრედია”, 2001-2004 წლებში “სამტრედია”, 2004-2006 წლებში _ “ლოკომოტივი სამტრედია”, 2006 წლიდან დღემდე _ “სამტრედია”.

ახალი ლექსები

ელვაო, გასცერ ღრუბლები

ზენაც და ქვენაც ზამთარში
თუ თოვლის ამომყრელია,
მაღალო ღმერთო, ორთავეს
შენ მოუმართე ხელია.
ფიფქებო, რა მოგივიდათ,
ხომ არაფერი გწყენიათ?
განა ვერ ხედავთ, ბავშვები
რა მოუთმენლად გელიან?
ელვაო, გაჰკარ-გაკვესე,
რადა ხარ ჭკუათხელია?
რა მარტო შენთვის ერთობი,
გთხოვ, გაანძრიო ხელია.
ასცერ-გასცერი ღრუბლები,
ო, დელა-დელა-დელია,
დაფიფქე, დააბუმბულე,
ეგ ჩვენი მთა და ველია.

მავიწყდება ასაკი

თოვლის მოსვლას ყოველთვის,
როგორც ბავშვი ყოველი,
ამოდენა კაცი მეც
სიხარულით მოველი.
მავიწყდება ასაკი,
ვითომც ისევ ბავშვი ვარ,
ჯოხიც კი მოვისროლე,
თითქოს მხრებშიც გავშლილვარ.
მეც ბავშვებთან ვერთობი,
ვგუნდაობ და ვსრიალებ,
ვერაფერს ვერ დამაკლებს
წუთისოფლის სიავე.
პირველს თუკი ვერ გეტყვი,
ვცდილობ, ბანი მეცა ვთქვა,
ახალ წლიდან ცხოვრების
ახლად ვიწყებ მეც ათვლას.

მოგილოცავთ ახალ წელს

ახალი წლის შეხვედრას
განა ძილით ვაპირებ?
ფხიზლადა ვარ, აბა რა
და არც უნდა გაკვირდე.
პატარა ხომ არა ვარ,
ჩურჩუტ სოფიოსავით,
დედას კალთაზე რომ ყავს,
გამობმული ხბოსავით.
დილით “ბომბაჩქას” ვისვრი,
ფრთხილად, რაღა თქმა უნდა,
ორპირა თოფს, გრიალით,
აივნიდან ბაბუა.
მოგილოცავთ ახალ წელს,
იმიერ და ამიერ,
თქვენი სადღეგრძელო იყოს,
თქვენი მრავალჟამიერ!

ხვალ ახალი წელია

თუმც ფიფქები ჯერ არ ჩანს,
ბავშვებო, ნუ იდარდებთ,
თოვლჭყაპია რადგანაც,
მალე თოვლსაც კი დადებს.
ზამთარია ნამდვილი,
მიმალულან შაშვები,
ფანჯარასთან მიმდგარან
მოუთმენლად ბავშვები.
ცუგას ბეცად თვალები,
აქეთ-იქეთ გაექცა,
შეიშმუშნა ფიფქი რომ
ულვაშებზე დაეცა.
რა ხდებაო, ნაწყენმა,
ერთი კი ამომხედა...
ამეღამო, ბაბუამ,
საოცრება მოხდება.
აქვს ბებიას სამზადში
საახალწლო მზადება,
ამბობს: _ ახალწელიო
თოვლით შემობრძანდება.

ილია ლეკვეიშვილი

ბოლომდე უთქმელი...

საყვარელ ადამიანებზე საუბარი წარსულ დროში არ შემიძლია...

რას ნიშნავს იყო, მახსოვდა, ვიცნობდი?

ჩემთვის ყოველთვის არის, მახსოვს და ვიცნობ!

პირველად როცა ერთმანეთს შევხვდით, ახალი მოსწავლე ვიყავი მე-11 სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ უცნობი გარემო არ დამხვედრია, ლენა მასწავლებელმა სხვანაირად მიმიღო...

თავიდანვე განსაკუთრებულად მაგრძნობინა თავი და იმაზე მეტად დაიჯერა ჩემი, ვიდრე მე ოდესმე დამიჯერებია...

მახსოვს, პოეზიის საღამოს მოწყობაც უნდოდა...

არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მაშინ ჩემი, პირადი, ჯერ საკუთარი კლასელებისა და შემდეგ მთელი სკოლისთვის უნდა წამეკითხა...

საოცარი შეგრძნება იყო...

განსაკუთრებული...

სკოლის დამთავრების წინ პატარა დღიური მაჩუქა ჩემი ჩანახატებისა და ლექსების ჩასაწერად...

ყოველთვის შეეძლო ეთქვა, რომ მნიშვნელოვანი ადამიანი ვარ და მეც თავი ყოვლისშემძლე მეგონა...

ბევრი შემიძლია გავიხსენო, არასდროს დამავიწყდება მისი აღფრთოვანებული თვალები, როდესაც ჩემთვის ძვირფასი მასწავლებლების მოგონებას ვკითხულობდი...

მაშინ ჩემი გამოსვლა იმ პატარა ლექსით დავამთავრე, რომელიც ეძღვნებათ საყვარელ ადამიანებს, რომელზეც წარსულში ვერასდროს ვისაუბრებთ:

"ასეთები სულ ცოცხლობენ არ კვდებიან,

სულ სიკვდილთან სიცოცხლეზე დავობენ,

რაც დრო გადის, უფრო მეტად მაღლდებიან,

მანათობელ შუქსა ჰფენენ თაობებს".

ჰოდა, ასეთია ჩემი ლენა მასწავლებელიც...

სულ ცოცხალია, სულ მახსოვს და სულ არის!"

ივეტა გოგავა
კურსდამთავრებული

ჩემი ძვირფასი ქალბატონი, ჩემი ლენა მასწავლებელი! ადამიანი, რომელიც მიყვარს, ვინც მიყვარს კი ჩემგან არასდროს მიდის, გული არ შეიძლება ცარიელდებოდეს მისით, რადგან თავადაც თავისი უანგარო სიყვარულით, უბადლო სიკეთითა და საოცარი სითბოთი აავსო იგი... როგორ მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ სულ აღფრთოვანებული ვიყავი მისით _ მშვიდი საუბრით, ღიმილიანი, ოდნავ სევდიანი შემოხედვით, ელეგანტური ჩაცმულობითაც კი... ვამაყობდი, თავს ვიწონებდი და დღესაც თავს ვიწონებ, რომ ჩემი სკოლის დირექტორი იყო, მან სხვა ელფერი, სახელი და ბრწყინვალება შესძინა ჩვენს სკოლას, ჩვენს რაიონს. ახლაც მგონია, რომ ჩვენი სკოლა მისი არამიწიერი მფარველობით დგას ასე თავაწეული თანამედროვე გამოწვევებისა და სირთულეების პირისპირ. ქალბატონი, რომელიც უხვად და უშურველად გასცემდა გულის სინათლეს, ახლაც მინათებს და მეშველება ჭირსა თუ ლხინში. მადლობა ლენა მასწავლებელო, რომ თქვენი თანამედროვე მქვია, მადლობა, რომ ასე ლამაზად იცოცხლეთ ჩემთვისაც.

გაუნელებელი სიყვარულით
თამუნა კეკელიძე
კურსდამთავრებული

***

"ლენა მას!.." _ შემეძლო ასე უბრალოდაც მომემართა, არადა, დირექტორი ბრძანდებოდით... ჩვენს კლასში შემოსვლა ყოველთვის გიყვარდათ, ამიტომაც ვფიქრობდი, რომ ჩვენ განსაკუთრებით გიყვარდით. ახლა კი სხვაგვარად მგონია _ თქვენ ყველასთვის უხვად და დაუნანებლად, უანგაროდ იმეტებდით სითბოს, სიყვარულს, ღიმილს. მიკვირდა ყურადღება და ის სიახლოვე, რომელიც ასე ბუნებრივად გამოგდიოდათ, სხვა დირექტორებისაგან ამითაც გამოგარჩევდით და როცა ბიჭები სკოლის ამბებს ვყვებოდით, მე თავს თქვენით ვიწონებდი, თქვენით ვამაყობდი. ახლაც და მაშინაც ვიცოდი, რომ თქვენი გულის სიდუმლო ასე გამოითქმოდა: ბავშვი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ფიგურაა სკოლაში და საერთოდ სამყაროში! _ ეს იყო თქვენი ცხოვრების აზრი! ძალიან დაგვაკლდით მე და ჩემს კლასელებს, მთელს სკოლას, დაბადების დღის მოსალოცებში შენახული ჩვენი "გულები" არასოდეს გახუნდება...

ხშირად გიხსენებთ... ჩემს დიდი სიყვარულსა და პატივისცემას ახლა გიმხელთ ასე ხმამაღლა. მშვიდად განისვენეთ, "თქვენ გიცხოვრიათ როგორც უნდოდა!"

სიყვარულითა და
მოწიწებით
გიორგი ჯავახიანი IX კლასი

***

ქალბატონი ლენა ჩემთვის მარტო დირექტორი არ ყოფილა. ის ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო.

მისი ამქვეყნიდან წასვლა დამაკლდა ორმაგად: როგორც ახლობელი და როგორც სკოლის დირექტორი.

სკოლის ეზოში შესვლისთანავე იგრძნობოდა ქალბატონ ლენას დამოკიდებულება სკოლისადმი, სითბო და სიყვარული.

მიუხედავად ახლობლობისა, სკოლაში როგორც დირექტორს ისე ვესალმებოდი. რჩევას ვეკითხებოდი და ისიც მისთვის ჩვეული სითბოთი მისმენდა.

მეამაყებოდა მე-11 საჯარო სკოლა და სკოლის დირექტორიც. მიჭირს ქალბატონ ლენაზე წარსულში საუბარი. სინანული მიპყრობს, თვალები ცრემლით მევსება. მე ძალიან მიყვარდა და უდიდეს პატივს ვცემდი ქალბატონ ლენას, როგორც დირექტორს და მისი ხვედრი ჩემთვის უკვდავებაა.

სიყვარულითა და
მოწიწებით
გიორგი ფიფია
№11 საჯარო სკოლის
კურსდამთავრებული

***

ლენა დირექტორის მოგონებისას უდიდესი ტკივილი მეუფლება. არ ვიცი ეს დანაკარგი სკოლას რამ უნდა შეუვსოს. დავკარგეთ უძლიერესი და უკეთილშობილესი ადამიანი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემი და ჩემი თანატოლების პიროვნულ განვითარებაში. ქალბატონი ლენა დირექტორისათვის უჩვეულო მეგობრობით გამოირჩეოდა ჩვენს მიმართ. ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას, ის ყოველთვის ჩვენს მხარეს იჭერდა და გვამხნევებდა. მისი ოპტიმიზმი და სიმტკიცე ბავშვებს უდიდეს მოტივაციას გვაძლევდა და მზად ვიყავით, ყველა სირთულეს ლაღად შევხვედროდით, რადგან ჩვენი დირექტორი ჩვენთან იყო!

ყოველი სასწავლო წელი მისი გამამხნევებელი სიტყვებით იწყებოდა, ამ დროს თითოეული ჩვენგანი საოცრად თვითდაჯერებული ხდებოდა და თავს ძლიერად გრძნობდა. წელს ლენა დირექტორის ეს სიტყვები ვერ მოვისმინეთ, თითქოს ყველაფერი ჩვეულად იყო: ბავშვები, მასწავლებლები, სასკოლო ზეიმი, მაგრამ თითქოს თვალსა და გულს რაღაც აკლდა... ფანჯრიდან აღარ გადმოგვყურებდა ლენა დირექტორი ჩვეული ღიმილით, აღარ გვლოცავდა თვალებით, აღარ უბრწყინავდა სახე საკუთარი მოსწავლეების დანახვისას. დავკარგეთ ჩვენი სკოლის დედაბოძი, უძლიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონი, რომელმაც, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მასწავლა ცხოვრების სირთულეებთან გამკლავება და ბრძოლა. მისი ნაზი, მომღიმარი სახე ყოველთვის იქნება ჩემს მეხსიერებაში და შემახსენებს, რომ ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია, ისეთი დიდებული და ძლიერი პიროვნებებიც კი, როგორიც ქალბატონი ლენა იყო. მჯერა, რომ ის ახლაც ჩვენთანაა, ჩვენს გულებში და ასე იქნება სამუდამოდ... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სპეტაკ სულს!

ელენე კიწმარიშვილი
XI კლასი

***

არიან ადამიანები, რომელთა გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს, ისინი მუდამ რჩებიან ჩვენს მეხსიერებაში, ჩვენს მოგონებებში.

ძალიან გვტკივა ლენა მასწავლებელო, წარმოუდგენლად გვტკივა!

თქვენთვის ყველა ბავშვი ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო, ყველას დამცველი და მოსიყვარულე იყავით. თქვენ შექმენით გარემო, რომელშიც თავს უზომოდ ბედნიერად და დაცულად ვგრძნობდით. უდიდესი გულის მქონე, მრავალი თაობის აღმზრდელი, სიკეთით აღსავსე, გამორჩეული სკოლის დირექტორი, საოცრად თბილი და კეთილშობილი პიროვნება ბრძანდებოდით.

წარსულში საუბარი ყოველთვის მძიმეა. დავემშვიდობეთ ადამიანს, რომელიც ჩვენთვის სამაგალითო იყო.

გვემახსოვრება თქვენი თითოეული თბილი სიტყვა და უზარმაზარი სითბო ჩვენდამი. თქვენ არ იყავით დირექტორი, თქვენ თითოეული ჩვენი სკოლის მოსწავლის დედა და მეგობარი ბრძანდებოდით.

საუკეთესო იყავით საუკეთესოთა შორის. 9 წელი გიცნობდით. ძალიან გამიმართლა, შესაძლებლობა მქონდა მყოლოდა სკოლის ისეთი დირექტორი, როგორიც თქვენ და ეს წლები არასდროს დამავიწყდება.

დააკლდა სკოლას თქვენი ღიმილიანი სახე, უზომო სითბო. დიდმა სიცარიელემ დაიკავა თქვენი ადგილი, სიცარიელემ რომელსაც ვერავინ შეავსებს.

თქვენ იმაზე მეტი გაიღეთ და იმაზე მეტი სითბო და სიყვარული გაეცით, რაც ერთ სიცოცხლეში ძალუძს ადამიანს.

თქვენი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ჩვენი ქალაქისთვის, თქვენი საამაყო სკოლისთვის, ოჯახისათვის, მეგობრებისთვის, ბავშვებისთვის.

გვიყვარდით და გვეყვარებით ყოველთვის. მუდამ გვემახსოვრებით და არასდროს დაგვავიწყდებით ჩვენო უფროსო მეგობარო და მასწავლებელო.

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური კუთხის მიწა. სულის მარადისობაში დასავანებლად ჩაუქრობელ ლამპრად ენთოს უფლის გზისაკენ მანათობელი წმინდა სანთლები.

ლუკა კანდელაკი
X კლასი

***

წელიწადი გავიდა რაც ჩვენს გვერდით არ არის ყველასათვის საამაყო, მისაბაძი, ღირსეული პიროვნება, სამაგალითო ადამიანი, ჩვენი ლენა მასწავლებელი.

დიდია დანაკლისი, დიდია მწუხარება, მაგრამ ის, რაც მან თითოეულ ჩვენგანს დაუტოვა ფასდაუდებელი და მარადიულია. ჩაგვინერგა სწავლის სიყვარული, ერთმანეთის პატივისცემა, მეგობრობა, პასუხისმგებლობის გაჯრება.

ლენა მასწავლებლის რჩევა-დარიგება ან უბრალო მეგობრული, შინაურული საუბარი იქცა ლამაზ, ტკბილ მოგონებად, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემი და ჩემი თანატოლების მეგზური იქნება. მისი მოსწავლეები ვგრძნობდით თუ როგორი შრომისმოყვარე, უანგარო და გულისხმიერი ადამიანი გვედგა გვერდით, როგორ უხაროდა და როგორ ამაყობდა სკოლის წარმატებებით. მე და ჩემს თანაკლასელებს გვქონდა ლენა მასწავლებლის რიდი, მისადმი მოკრძალება, მაგრამ ამავე დროს ჩვენს შორის საოცრად მეგობრული, თავისუფალი ურთიერთობა სუფევდა.

დაბოლოს, მოვიხმობ ილიას სიტყვებს:

"არ არის მკვდარი, ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვის ქვეყნად
სახელი არ დარჩენია".

საუკუნო იყო თქვენი ხსენება!

ეკატერინე მიქაძე
სტუდენტი
2017-2018 სასწავლო წლის
კურსდამთავრებული

***

ბუნებით ყოველმხრივ დაჯილდოვებული, ნიჭიერი, ჭკვიანი, ერუდირებული, თავაზიანი, კომუნიკაბელური, საქმის ჩინოსანი, ხალასი ბუნების, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, ძვირფასი მეუღლე, საუკეთესო დედა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა მოსიყვარულე, ასეთი გახლდათ ქალბატონი ლენა ხაჟალია.

შეგეყარა ისეთი მძიმე სენი, რომლისგან განკურნებული ჯერ არავინ არ არის, რომელმაც ბევრი ოჯახი გაამწარა, ვიცი დიდხანს იყო თქვენსა და ამ მძიმე სენს შორის ბრძოლა, ეს ყველაფერი იყო თქვენი სიძლიერით.

არასდროს მეგონა თუ ასე ახლოს დაგელაპარაკებოდით, მოგიახლოვდებოდით. უაღრესად დიდი ტკივილი მაქვს გულში. იმ დღის შემდეგ, როდესაც თქვენი სიკვდილი გავიგე ცრემლად ვიღვრები, არა მარტო მე, არამედ ჩემი კლასელებიც და მგონია ყველას დაგვისკდება ჩვენი პატარა გულები.

ჩემო საყვარელო დირექტორო, დიდო ქალბატონო, მჯერა ნათელი სასუფეველი გადგათ. ყოველთვის მოვინახულებთ თქვენს საფლავს და მინდვრის ლამაზი თაიგულებით შევამკობთ.

ნიკა პოტრიკაძე
VIII კლასი

ივანე (ვანო) ხუხუნაიშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ვანო ხუხუნაიშვილი. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ მან ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა.

2006 წლიდან გარდაცვალებამდე იგი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი იყო და მის გამოცდილებას, ენერგიას უშურველად ახმარდა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

საკრებულოს აპარატის გამართული მუშაობა ბევრად იყო დამოკიდებული აპარატის ხელმძღვანელზე. სამწუხაროდ 13 დეკემბერს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მუნიციპალიტეტის აპარატის თანამშრომლებისადმი გამოცხადებული კიდევ ერთი მადლობა უკანასკნელი აღმოჩნდა ბატონი ვანოსათვის.

ნაადრევად წავიდა სპეტაკი სულის, ადამიანური თვისებებით შემკული კაცი და ოჯახს, ახლობლებს, თანამშრომლებს მისი წასვლით გამოწვეული ტკივილი თან დაგვიტოვა.

ნათელში ბრძანდებოდეთ ბატონო ვანო!

მუნიციპალიტეტის საკრებულო

გემშვიდობებით! გაუსაძლისი ტკივილი ახლავს ამ სიტყვას!

გემშვიდობებით ჩვენო ღიმილიანო, უზომოდ თბილო, გამორჩეულო და უღალატო მეგობარო! გვეამაყები! რჩეული კაცი იყავი, კაცთმოყვარე, ყველას სიყვარული რომ დაიტიე.

მტკივნეულია შენზე წარსულში საუბარი... დიდთან დიდი იყავი, პატარასთან პატარა. ყოველთვის იქ იყავი, სადაც საჭიროდ თვლიდი შენს თანადგომას. 48-ე გაზაფხულს აღარ დაელოდე, შენმა არაჩვეულებრივმა გულმა მუდმივ სამყოფელში არჩია დამკვიდრება.

მშვიდობით ჩვენო ვანიჩკა! მომავალ შეხვედრამდე ჩვენო რჩეულო მეგობარო.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა ბატონი

ივანე (ვანო) ხუხუნაიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის

ივანე (ვანო) ხუხუნაიშვილის

გარდაცვალების გამო.

ანანო და ჯუბა პაპავები ოჯახით თანაუგრძნობენ ლუკა ხუხუნაიშვილს მამის

ივანე (ვანო) ხუხუნაიშვილის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ლუკა ხუხუნაიშვილს, მამის

ივანე (ვანო) ხუხუნაიშვილის

გარდაცვალების გამო.

კვლავ ცოცხლობს, ისევ აქ არის

დიახ, არ მომკვდარა ზეგარდმო ნიჭით მირონცხებული მათემატიკოსი, მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელი პედაგოგი ბატონი მურმან კაშია, იგი გარდაიცვალა და ახლაც, ზეციური საქართველოდანაც უშურველად აგრძელებს ნორჩ მათემატიკოსთა წვრთნას, აღზრდას.

"გონების სავარჯიშო" ასე ჰქვია მაღალპოლიგრაფიულ დონეზე ნა-



ბეჭდ წიგნს, რომელიც კლასგარეშე ამოცანათა კრებულს წარმოადგენს მათემატიკაში ამოხსნებითურთ.

ამოცანები ბატონი მურმანის მიერაა თავის დროზე შედგენილი და, ამდენად, წიგნის ავტორიც თავადაა.

ნაშრომი ბატონი მურმანის მეუღლის, ოჯახის გადაწყვეტილებით გაკეთდა, საოცარი მიგნებაა, საოცარი ნაბიჯი საყვარელი ადამიანის ხსოვნისადმი საოცარი პატივი, ბუნებრივია მართალთა ზეციურ სამყოფელში დავანებული ბატონი მურმანის სპეტაკი სული იხარებს ამის გამო.

"წიგნი განკუთვნილია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევე ყველასათვის, ვისაც მათემატიკაში ინტელექტის განვითარება აინტერესებს. მასში მოცემულ ამოცანებს ახლავს მითითებები, ამოხსნები და პასუხები" ვკითხულობთ წინასიტყვაობაში.

პითაგორას საზოგადოების თავმჯდომარე, მათემატიკოსი ბატონი **ზურაბ აღდგომელაშვილი** გახლავთ წიგნის რეცენზენტი.

მიმდინარე 2019 წელს, თბილისში შპს "წიგნის ფაბრიკაშია" დაბეჭდილი წინამდებარე წიგნი.

ვიმედოვნებთ, მოსწავლე ახალგაზრდობა, მასწავლებლები ინტერესით გაეცნობიან სამზეოდან ნაადრევად წასული უებრო მათემატიკოსის ნაზრევს, რომელიც მათ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევთ.

თავს მოწიწებით ვხრით უფროსი მეგობრის, ღირსეული სამტრედიელის ბატონი მურმანის ნათელი ხსოვნის წინაშე და მადლობას ვუხდი მის ახლობლებს, კიდევ ერთი წიგნით რომ გაამდიდრეს ჩემი მოკრძალებული ბიბლიოთეკა.

ლევან გაბეჩავა

სოსელოდან სტალინამდე

ლამის სამოცდაათი წელი ხდება იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი-სტალინის გარდაცვალებიდან და როგორც მისი სიკვდილის მიზეზი, მთელი მისი მოღვაწეობაც საფუძვლიანად შეუსწავლელია. ერთი უდავოა, სტალინმა შეძლო ჩამორჩენილი რუსეთი, შემდეგ საბჭოეთი, უზარმაზარ, მძლავრ, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებისაგან ანგარიშგასაწევ ქვეყნად გადაექცია. უფროსი თაობის ადამიანები დღესაც სიამოვნებით იგონებენ სტალინურ გაზაფხულებს, როცა სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე ხდებოდა ფასდაკლება, გაიაფება.

იყო გამარჯვებები და იყო შეცდომები. იყო გამარჯვების 9 მაისი და იყო შავბნელი წლები რეპრესიებისა. ისტორია საკადრის ადგილს მიუჩენს სტალინსა და მის მოღვაწეობას.

"_ იდეა იარაღზე ძლიერი იარაღია, ჩვენ არ ვაძლევთ მტერს იარაღის ქონის ნებას და რად უნდა მივცეთ იდეების ქონის უფლება?

_ ვინც არჩევნებში ხმას აძლევს ამა თუ იმ პარტიას, არაფერს წყვეტს. ყველაფერს წყვეტენ ისინი, ვინც ითვლიან ამ ხმებს.

_ ნამდვილი ძალა გრძელი შაშხანიდან მოდის.

_ რევოლუციას აბრეშუმის ხელთათმანებით ვერ მოაწყობ". ვკითხულობთ სტალინის შრომებში.

21 დეკემბერს 140 წელი შესრულდა გენერალი სიმუს იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი-სტალინის დაბადებიდან (1879 წ. გორი _ 1953 წ. მოსკოვი).

ლევან გაბეჩავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი თანაუგრძნობს ქალბატონ მაყვალა ლორიას, მეუღლის

დავით ცინცაძის

გარდაცვალების გამო.

ანანო და ჯუბა პაპავები, ანანო თავაძე თანაუგრძნობენ ლანა და გოგა თავაძეებს

ბაბუის

გარდაცვალების გამო.

გიორგი ზაქარიაძე _ "ფალავნობის" ოქრო და ვერცხლი

15 დეკემბერს ქალაქ თბილისში ოლიმპიური სპორტის სასახლეში ჩატარდა ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში ფალავნობა, სადაც საქართველოს ქალაქებისა და რაიონების უძლიერესი ფალავნები ასპარეზობდნენ. მათ შორის იყვნენ სამტრედიელი ფალავნები, გოჩა ზაქარიაძე და გიორგი ზაქარიაძე.

შეჯიბრება, წესისამებრ, ორ ნაწილად, ჩატარდა. პირველი ჩემპიონების და პრიზიორების გამოვლინება სხვადასხვა წონით კატეგორიებში, სადაც 80-90-100 კილოგრამ და პლუს 100 კილოგრამ წონითი კატეგორიის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. ხოლო ჩემპიონატები და პრიზიორები სხვადასხვა წონით კატეგორიაში ანუ ოთხეული აგრძელებს ასპარეზობას აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. გიორგი ზაქარიაძემ პლუს 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა. ჩემპიონი გახდა და ფინალში დაამარცხა აბსოლუტური წონითი კატეგორიის ჩემპიონი ონისე ბუღაძე, მოიპოვა საგზური მეორე ბლოკში აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მონაწილეობის, სადაც მას კიდევ უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეები ელოდებოდნენ: წინა წლების აბსოლუტური ფალავანი გიორგი კაციაშვილი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში ლაშა ტაველური. გიორგიმ შესძლო მათი დამარცხება და აქაც ფინალში აღმოჩნდა, სადაც მას განმეორებითი ფინალური შეხვედრა ელოდება საჩხერელ მოჭიდავე ონისე ბუღაძესთან. გიორგიმ დამატებით დროში დათმო ასპარეზობა და ვერ შესძლო დუბლის განმეორება, იგი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

შეჯიბრს ესწრებოდნენ მწვრთნელები, ავთანდილ თარგამაძე და ბადრი შენგელია, კლუბ "ფალავანის" უფროსი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვეფხია სტურუა, რომელიც სპეციალურად ჩავიდა სამტრედიელი ფალავნების საგულშემატკივროდ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ლეგენდარული მოჭიდავეები, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი, სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტის უფროსი ანზორ ჩუბინიძე და სხვა ტიტულოვანი ვეტერანი სპორტსმენები.

ავთანდილ თარგამაძე და ბადრი შენგელია ტრადიციულად დაუკავშირდნენ "სამტრედიის მაცნეს", მადალი შეფასება მისცეს 15 დეკემბრის ტურნირს და გიორგი ზაქარიაძის გამარჯვებას ისტორიული უწოდეს, ისარგებლეს შემთხვევით და გაზეთის ფურცლებიდან მშობლებს, ზურაბ და ნატო ზაქარიაძეებს შვილის წარმატება მიულოცეს.

ნინო ნანიტაშვილი

გათამამდა ჩვენი მიშა,
მგონი, აღარ ხუმრობს,
თვით კარატეს ხელმძღვანელთან
ნახეთ, როგორ ჩხუბობს.

დიანა ნიკოლეიშვილს!

დაბადების დღესა და კარს მომდგარ შობა-ახალ წელს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ.

ბედნიერი გყოლოდეს შენი საფიცარი თამუნა.

უფალმა გაგაძლიეროს!

"სამტრედიის მაცნე"

ეკლიდაშვილს!

დიდებულ ქალბატონს, დედას, ბებიას, ერთგულ მეგობარს, ლილი ვაშაკიძეს, საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ იუბილეს 60 წლის შესრულებას! ვუსურვებთ ხანგრძლივ და სიხარულით სავსე დღეებს. თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ფიფიანის სახელობის ფეხბურთის №2 გაგა-ბაღის თანამშრომლები

დაბადების დღეს ვულოცავ ცნობილ ქართველ ფეხბურთელსა და მწვრთნელს, ყველასათვის საყვარელ ადამიანს, ჩვენი ქალაქის მკვიდრს, ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატს, ტარიელ დვალიშვილს. ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს სამწვრთნელო საქმიანობაში.

პატივისცემით ირაკლი ნიკოლეიშვილი

ფეხბურთი
პირველად ისტორიაში

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს ეროვნული თასის ახალი მფლობელი, პირველად ისტორიაში თბილისის "საბურთალო" გახდა.

მან 8 დეკემბერს გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ფინალურ მატჩში ფეხბურთში, ანგარიშით 3 : 1 დაამარცხა ამ ტიტულის სამგზის მფლობელი თანაქალაქელთა გუნდი, თბილისის "ლოკომოტივი".

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მისმა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბერაშვილმა, რომელიც მატჩის დასრულების შემდეგ მწვრთნელის პოსტიდან გადადგა.

თბილისის "საბურთალო" გაისად მონაწილეობას მიიღებს ევროპულ ტურნირში, კერძოდ, უეფას ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა